# 2006

## წლიური ანგარიში Annual Report

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA




საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

# 2006

## წლიური ანგარიში Annual Report


აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა 4 Message from the Executive Director
ჩვენს შესახებ 6 About TI Georgia and TI Secretariat
2006 წლის პროექტები 8 2006 Projects
სხვა საქმიანობა და ღონისძიებები 28 Other Activities and Events
პუბლიკაციები 42 Publications
სამომავლო გეგმები 48 Future Activities
გამგეობის წევრები და თანამშრომლები 52 Members of the Board and Executive
დონორები 55 Donors
ფინანსური მონაცემები 56 Financial Data








## აღმასრულებელი დირექტორის
# მიმართვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და რეფორმების განხორციელების პროცესში, საზოგადოების ჩართვის ხელშეწყობის გზით, საქართველოში კორუფციის დონის შემცირებას. ეს სამი ინსტრუმენტი არა მხოლოდ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში თამაშობს გადამწყვეტ როლს, არამედ მათზე დგას ნებისმიერი ქვეყნის წარმატება დემოკრატიის განვითარების კუთხით. შესაბამისად, ის საქმიანობა, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ახორციელებს საქართველოში, ამ ინსტრუმენტების განმტკიცებას ემსახურება.

რეალური გამჭვირვალობა უფრო მეტია, ვიდრე ინფორმაციის ნებისმიერ დროში და ნებისმიერი ფორმით გამოქვეყნება. გამჭვირვალობა ნიშნავს საზოგადოებისთვის იმ ინფორმაციის იმ ვადებში მიწოდებას, რომ მას საშუალება ჰქონდეს, სწორად ესმოდეს, თუ რა გადაწყვეტილებები მიიღება ხელისუფლებაში რა არგუმენტების გათვალისწინებით, როგორ მიმდინარეობს მათი განხორციელება და რაც მთავარია, ჰქონდეს ამ პროცესებზე გარკვეული გავლენის მოხდენის საშუალება. გამჭვირვალობის ეს დონე, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებასა და მასთან მუდმივ კომუნიკაციასთან ერთად, რეფორმების მიმართ ხალხის კეთილგანწყობას უწყობს ხელს, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად მოქმედებს ამ რეფორმების წარმატებაზე და შესაბამისად, ქვეყნის განვითარებაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ 2006 წლის ანგარიშში შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციას ჩვენ მიერ 2006 წელს გაწეული იმ საქმიანობის შესახებ, რომელიც გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების ჩართულობის ამაღლებისკენ იყო მიმართული. ჩვენ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ან მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მუშაობაში ბოლო ექვსი წლის განმავლობაში და იმედი გვაქვს, რომ მომავალშიც გავაგრძელებთ შედეგიან თანამშრომლობას.



თამუნა ქაროსანიძე
აღმასრულებელი დირექტორი

# Message
## from the Executive Director

Transparency International Georgia (TI Georgia) is a Georgian non-governmental organization that is committed to fighting corruption through promoting transparency, accountability, and public engagement. These instruments help not only to reduce corruption, but they constitute the essential pillars of democracy. Accordingly, the activities that TI Georgia has been carrying out and intends to continue in the future revolve around these three pillars and seek to achieve their high standards.

True transparency is more than publicizing information in any form and at any time. Instead, it implies providing the information that is necessary for the public to be actively engaged in policy formulation, implementation, and assessment, in a manner that is comprehensive and easily accessible, and in time for the public to be able to use it effectively. This level of transparency, coupled with a strong commitment to accountability and public engagement, is what fosters public support for the reform process and increases the chances of its successful implementation.

TI Georgia's 2006 annual report provides you more information about the specific programs and activities we conducted in 2006 to advance transparency, accountability, and citizen engagement. We thank those who have supported and participated in our work over the past six years and look forward to continuing our cooperation.



Tamuna Karosanidze
Executive Director





# ჩვენს შესახებ

## საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისი დაარსდა 2000 წლის 7 მაისს. ორგანიზაცია მიზნად ისახავს, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების გზით, ქვეყანაში კორუფციის დონის შემცირებას და საქართველოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად ის სწავლობს სხვადასხვა სფეროებში კორუფციის გავრცელების დონეებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, ამ მიზეზების აღმოფხვრის მექანიზმებსა და შესაბამის რეკომენდაციებს აწვდის ხელისუფლებას და საზოგადოებას. გარდა ამისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს მოქალაქეებს აცნობს ახალ საკანონმდებლო ინიციატივებს, კანონებს, დაგეგმილ და მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებულ სიახლეებს და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას; იკვლევს საერთაშორისო გამოცდილებას იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც დღეს აქტუალურია საქართველოში; ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების შესრულების მონიტორინგს და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას აწვდის ხელისუფლებას და მოსახლეობას; ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც ასევე მიმართულია ქვეყანაში კორუფციის დაძლევისკენ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მასმედიის წარმომადგენლებთან, ხელისუფლებასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

## საერთაშორისო გამჭვირვალობა - სამდივნო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეროვნულ ბიუროს. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მოძრაობა აერთიანებს 90-ზე მეტ ეროვნულ ბიუროს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მისი მიზანია როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე საერთაშორისო დონეზე კორუფციის აღმოფხვრა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. საერთაშორისო დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ იკვლევს მსოფლიოში კორუფციის გამომწვევ მიზეზებს და მის შედეგებს, და მოუწოდებს პოლიტიკოსებს, მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შემცირდეს კორუფციის გავლენა და ამ გზით დაიძლიოს სიღარიბის პრობლემა. ორგანიზაცია ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ანტიკორუფციული კონვენციების შემუშავებასა და მხარეების მიერ მათი შესრულების მონიტორინგში. ცალკეული ქვეყნების დონეზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ საქმიანობს ეროვნული ბიუროების საშუალებით. ეროვნული ბიუროები იკვლევენ კორუფციასთან დაკავშირებულ პრობლემებს ქვეყნის შიგნით და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც მიმართულია ანტიკორუფციული ინსტიტუტების გაძლიერებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების როლის გაზრდისკენ.

# About
## TI Georgia and TI Secretariat

### TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

**Transparency International Georgia (TI Georgia)** was established on 7 May 2000 as a local non-governmental organization committed to combating corruption in Georgia through the promotion of transparency and accountability. Our mission is to serve as the primary source of information on corruption reform in Georgia, to assist the Georgian Government and the broader public in facilitating reform in sectors where corruption exists, and to build and strengthen institutions.

To fulfill this mission, TI Georgia: establishes programmatic activities that target structural corruption in specific sectors; promotes access of local populations to information on existing problems and changes initiated to address these problems; encourages input on reform from local and international experts; assists the Government in drafting policy; and produces analysis and public policy recommendations on current activities and on future reform.

### TRANSPARENCY INTERNATIONAL SECRETARIAT

TI Georgia is a national chapter of **Transparency International (TI)**, the only international non-governmental organization devoted to combating corruption. It brings together civil society, business, and governments in a powerful global coalition. TI, through its International Secretariat and more than 90 independent national chapters around the world, works to stem both the supply and demand of corruption at the local, national, and international levels. In the international arena, TI raises awareness about the damaging effects of corruption, advocates policy reform, works towards the implementation of multilateral conventions, and monitors compliance by governments, corporations, and banks. At the national level, chapters work to increase levels of accountability and transparency, monitoring the performance of key institutions and pressing for necessary reforms in a non-partisan manner.





# 2006 წლის პროექტები

### მაჟორიტართა პროექტი: ინფორმირებული მოქალაქეები და ანგარიშვალდებული ხელისუფლება

**ივნისი 2005 – მაისი 2008**

**ბრიტანეთის საელჩო საქართველოში**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროექტი „ინფორმირებული მოქალაქეები და ანგარიშვალდებული ხელისუფლება“ მიზნად ისახავს, გაააქტიუროს ურთიერთობა მაჟორიტარ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის, მიაწოდოს ამომრჩევლებს ინფორმაცია პარლამენტის მუშაობის და სამომავლო გეგმების შესახებ და ამ გზით ხელი შეუწყოს მათ მონაწილეობას საკანონმდებლო პროცესში. დასახული მიზნის მისაღწევად „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ მაჟორიტარ დეპუტატებთან და მათი რაიონული ბიუროების წარმომადგენლებთან ერთად ყოველ სამ თვეში ერთხელ საქართველოს 57 რაიონში აწყობს საჯარო შეხვედრებს. შეხვედრებზე მოქალაქეები იღებენ ინფორმაციას ბოლო სამი თვის განმავლობაში მიღებული მნიშვნელოვანი კანონების და პარლამენტში შესული საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.  მათ ასევე ეძლევათ საშუალება დეპუტატს ესაუბრონ ადგილობრივ პრობლემატურ საკითხებზე და ასევე გამოხატონ აზრი პარლამენტის საქმიანობაზე. ამ ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ჩატარებული აქვს შეხვედრების ექვსი ციკლი. შეხვედრები გაგრძელდება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე.

საჯარო შეხვედრების გარდა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“  ავრცელებს სხვადასხვა სახის ბეჭდვით მასალას ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება უკეთ გაეცნონ პარლამენტის საქმიანობას. მასალები იგზავნება მთელი საქართველოს მასშტაბით. 2006 წელს, სხვა მასალებთან ერთად, ორგანიზაციამ მოამზადა **მოქალაქის გზამკვლევი,** რომელიც განმარტავს, თუ რა არის დეპუტატის ვალდებულებები და როგორ შეიძლება მათთან ურთიერთობა; ასევე, **ამომრჩევლის გზამკვლევი,** რომელშიც აღწერილი იყო ხმის მიცემის პროცედურები 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის; **ბროშურა თვითმართველობის შესახებ**, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციების შესახებ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა უფლებების შესახებ ადგილობრივ დონეზე; **ბროშურები** პენსიების შესახებ, სადაც განმარტებული იყო ამ სფეროში მიღებული ახალი რეგულაციები; ბროშურა პასუხებით ადგილობრივი არჩევნების, თვითმართველობის ახალი სისტემის, ადგილობრივი ბიუჯეტის და ადგილობრივი საკუთრების შესახებ **ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებზე; ლიფლეტი მოძრაობის ახალი წესების შესახებ**; **პოსტერი**, რომელშიც წარმოდგენილი იყო 2004-2006 წლების განმავლობაში პარლამენტში ჩატარებული მნიშვნელოვანი კენჭისყრების შედეგები.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ასევე აფასებს მაჟოროტარ დეპუტატთა ბიუროების საქმიანობას და ატარებს პერიოდულ ტრენინგებს ბიუროების თანამშრომლების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

პროექტის დასრულების შემდეგ ორგანიზაცია მოამზადებს ერთიან ინფორმაციას მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ და ამ ინფორმაციას და კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება მაჟორიტარ დეპუტატებსა და ამომრჩევლებს შორის ურთიერთობის მეტად გააქტიურება გააცნობს პარლამენტს, დაინტერესებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ჟურნალისტებს და ფართო საზოგადოებას.

# 2006 Projects

## THE MAJORITARIAN PROJECT: INFORMED CITIZENS AND ACCOUNTABLE GOVERNMENT

June 2005 – May 2008

British Embassy in Tbilisi

*The Majoritarian Project: Informed Citizens and Accountable Government* strives to foster communication between majoritarian parliamentarians and their constituencies and promote public awareness of and input into the legislative process. To achieve these goals, TI Georgia, in cooperation with majoritarian MPs and their district office (bureau) representatives, conducts public meetings in three-month cycles in 57 districts of Georgia. At these meetings citizens receive information about parliamentary developments over the last three months and its future plans. They also have the opportunity to inform their majoritarian MPs about their main concerns at the local level and share their opinions about Parliament's work. Six rounds of public meetings have been conducted already and more meetings will take place in 2007 and 2008 before the next parliamentary elections.

In addition to organizing public meetings in districts, TI Georgia prepares and disseminates public awareness raising materials throughout Georgia in Georgian and Russian languages. In 2006, among other materials, we prepared a **Citizen's Guidebook** that outlined the duties of MPs and the ways in which to communicate with them; a **Voter's Guide** that explained voting procedures for the October 2006 local self-governance elections; a **brochure on self-governance** that outlined the functions of local government bodies and citizens' rights vis-à-vis the decision-making process at the local level; a **brochure on pensions and compensation** that explained the new regulations in these fields; a **FAQs brochure** on local election procedures, the self-governance system, the local budget, and local property that provided answers to the most frequently asked questions about these issues; **leaflets** on the new traffic rules; and a **poster** of nine important laws and MPs' voting records on those laws.

As part of the project, TI Georgia also assesses majoritarian bureaus and administrative barriers to their work and conducts trainings for bureau staff to raise their qualification.

At the end of the project TI Georgia will prepare a unified analysis of majoritarian MPs' activities and specific recommendations for increasing their responsiveness to local constituencies.



## სამოქალაქო ფორუმები ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის

თებერვალი 2006 – მაისი 2007

ევროკომისია და კანადის ფონდი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროექტი მიზნად ისახავს ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობის სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობას – ქართული ენის ცოდნის გაღრმავებითა და ამ მოსახლეობის ინფორმირებით ქვეყანაში განვითარებული ძირითადი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ქართული ენის გაკვეთილები და სამოქალაქო ფორუმები საშუალებას აძლევს საქართველოს აზერბაიჯანელ მოქალაქეებს, მიიღონ ქართული ენის საბაზისო ცოდნა და გაეცნონ თავიანთ უფლებებს და ვალდებულებებს. გარდა ამისა, ფორუმებზე ისინი გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შესახებ და საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებთ.

2006 წელს 2000-ზე მეტი სამოქალაქო ფორუმი ჩატარდა ქვემო ქართლის შვიდ სოფელსა და ქალაქში. მათ ჯამში 300-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. დისკუსიები გაიმართა ისეთ თემებზე, როგორიცაა: კონსტიტუცია, მულტიეთნიკური საზოგადოება, ადამიანის უფლებები, მთავრობის ფორმირება, ბიუროკრატია და სახელმწიფო მომსახურება, მოქალაქეთა როლი არჩევნებში, საბიუჯეტო პროცესი, მასმედიის როლი დემოკრატიაში და ა.შ. დისკუსიების შედეგების და მონაწილეთა მიერ გამოთქმული შენიშვნების შემაჯამებელი ანგარიშები „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააცნო ხელისუფლების, ქართული და საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციების და მედიის წარმომადგენლებს, რათა მათ მეტი ინფორმაცია ჰქონოდათ ეთნიკური უმცირესობების პრობლემებისა და გამოცდილების შესახებ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმედოვნებს, რომ 2007 წელს, პროგრამის დასრულების შემდგომ, მონაწილეები შეძლებენ ქართულ ენაზე საუბარს; უკეთ ეცოდინებათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თავიანთი უფლებები და მოვალეობები და უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში.



## CIVIC FORUM FOR ETHNIC AZERIS IN KVEMO KARTLI
### February 2006 — May 2007
### European Commission and Canada Fund

TI Georgia's program for civic development in Kvemo Kartli is designed to address the political, social, and economic isolation experienced by Georgia's ethnic minorities because of the lack of Georgian language abilities. Through Georgian language instruction and civic forum discussions, this program strives to create a well-informed population that is aware of its rights and responsibilities as citizens of a developing democracy. In this project, TI Georgia is: (1) developing the Georgian language skills of Georgian citizens of Azeri descent, (2) educating regional populations, ethnic minorities, and women about Georgia's democratic development, (3) assisting the Government and other actors in having a clearer picture of how reforms are playing out among the population, and (4) developing recommendations for integrating ethnic minorities into the Georgian state.

In 2006 over 2000 civic forum discussions were held with over 300 participants in 20 groups in seven towns and villages in Kvemo Kartli. TI Georgia's moderators covered the following topics: constitutions; multi-ethnicity; human rights; the formation of governments; political parties; bureaucracy and delivery of services; the role of citizens in elections; the government budgeting process; the role of the media in a democracy; and other topics that were identified by participants as of importance to the region. Summaries of civic forum discussions enabled TI Georgia to voice participant concerns to the Government, international organizations, and embassies.

Upon completion of this program in 2007, participants will be competent in Georgian, will be knowledgeable about their rights and responsibilities as citizens of a democracy, and will be able to more actively participate in Georgia's democratic development.





## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ოფისი პარლამენტში

თებერვალი 2006 – იანვარი 2008

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

პროექტის მიზანია, გაზარდოს დამოუკიდებელი სპეციალისტების, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების, ჟურნალისტების და დაინტერესებული მოქალაქეების მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში და დეპუტატებს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ აფასებენ პარლამენტის მიერ მომზადებულ და პარლამენტში განსახილველად წარდგენილ კანონპროექტებს რეგიონებში. შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ აწყობს ფოკუს-ჯგუფებსა და მრგვალ მაგიდებს სხვადასხვა რეგიონებში, რომლებზეც განიხილება მნიშვნელოვანი კანონპროექტები. კანონპროექტები შეხვედრების მონაწილეებს წინასწარ, რამდენიმე დღით ადრე ურიგდებათ, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება, რომ კარგად გაეცნონ ამ დოკუმენტებს და მოამზადონ თავიანთი მოსაზრებები მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ.

შეხვედრებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დაარიგა ბროშურები შრომის კოდექსის შესახებ, რომლებშიც განმარტებული იყო ახალი კოდექსის ყველაზე მნიშვნელოვანი დებულებები და მიმოხულილი იყო საერთაშორისო პრაქტიკა ამ სფეროში. 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების წინ ორგანიზაციამ მთელი საქართველოს მასშტაბით გაავრცელა ამომრჩევლის გზამკვლევი ქართულ და რუსულ ენებზე, რომელშიც აღწერილი იყო ხმის მიცემის პროცედურები და ამომრჩევლის უფლებები.

პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ასევე აწყობს ტრენინგებს კომიტეტების, ფრაქციების, მაჟორიტარი დეპუტატების და სპიკერის აპარატებისათვის. 2006 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამართა ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: ამომრჩევლებთან ურთიერთობა, მედიასთან ურთიერთობა, ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ელემენტები და ა.შ.

გარდა ამისა, ორგანიზაცია მუშაობს საპარლამენტო კომიტეტებთან და გამოსცემს საკომიტეტო ანგარიშებს, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია შესაბამისი კომიტეტების წევრების (მაგ.: რომელი პარტიიდან არიან, დასწრების აღრიცხვა, სხვა სტრუქტურების წევრობა და ა.შ.), კომიტეტის ფუნქციების, მიზნების, საქმიანობებისა და მიღწევების შესახებ. 2006 წელს მომზადდა ორი – იურიდიულ საკითხთა და საგარეო ურთიერთობების კომიტეტების – ანგარიშები. 2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ამ საკითხზე იმუშავებს სხვა კომიტეტებთანაც.

TI GEORGIA'S OFFICE IN PARLIAMENT
February 2006 – January 2008
Swiss Agency for Development and Cooperation (SDC)

The project aims to enable Georgian parliamentarians to make informed decisions about draft laws by providing them with advice from practitioners in respective fields, actively involving civil society in the legislative process, and improving the transparency of information given from Parliament. As part of this program, TI Georgia organizes focus group meetings and roundtable discussions on draft legislation, especially outside of Tbilisi in order to solicit input from the groups of society that are most impacted by the law. These discussions are summarized and the main points are incorporated into recommendations for the Government. The final document, along with focus group summaries, includes foreign countries' experience in similar areas and correspondence with international acts. In 2006, TI Georgia conducted a total of nine focus group meetings on two draft laws: on administrative oversight of the activities of self-government bodies and on the system of social assistance.

A brochure on the new Labor Code that interprets the new code and summarizes international practice was distributed at the meetings. Before the local self-governance elections in October 2006, a voter's guide explaining the main voting procedures was distributed all around Georgia in both Georgian and Russian.

In order to improve Parliament's PR skills, TI Georgia conducts trainings for the speaker's office, committees, factions, and majoritarian MPs' offices. In 2006, TI Georgia held four different trainings focused on communication and media relations, effective communication and the media, constituency outreach, and public relations.

Additionally, TI Georgia works with parliamentary committees to develop bi-annual committee reports. The reports include information about committee members (e.g., party affiliation, attendance records, membership in different structures), the committee's functions and goals, and its activities and accomplishments (legal drafting, reforms in respective spheres, research, oversight activities, public relations, etc.). In 2006, two committee bi-annual reports were completed — one for the Legal Issues Committee and one for the Foreign Relations Committee — and more committee reports will be completed in 2007.





## ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი
## 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

ივლისი 2006 – იანვარი 2007

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პროექტი „2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად გამოყენების მონიტორინგი“ მიზნად ისახავდა ხელისუფლების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის მიზნით ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების კონკრეტული ფაქტებისა და ზოგადი ტენდენციების გამოვლენას.

მონოტირნგი მოიცავდა: ა) ინტერვიუების ჩატარებას სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ არჩევნებში და ასევე იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ახორციელებდნენ არჩევნების მონიტორინგს; ბ) თბილისის მერიიდან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიდან მიღებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების განკარგვისა და ხარჯვის ანალიზს; გ) ამომრჩეველთა აზრის გამოკითხვას წინასაარჩევნო პროცესების შესახებ; დ) საარჩევნო კანონმდებლობის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს; ე) მმართველი პარტიის წინასაარჩევნო საქმიანობაზე დაკვირვებას.

მონიტორინგის საბოლოო ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა ანგარიში, რომელშიც ასახული იყო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და დარღვევები და ასევე წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობდა მომავალში ამ ტიპის ხარვეზებისა და დარღვევების თავიდან აცილებას. ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე გავრცელდა როგორც სახელისუფლებო სრტუქტურებში, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებში.

ორგანიზაცია მსგავსი პროექტის განხორციელებას გეგმავს მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვისაც.

MONITORING THE MISUSE OF ADMINISTRATIVE RESOURCES DURING THE 2006 LOCAL GOVERNMENT ELECTIONS
July 2006 —January 2007
Ministry of Foreign Affairs of Latvia

In the fall of 2006, TI Georgia, in cooperation with TI Latvia, monitored the election campaign carried out by the ruling party for the 2006 local government elections in order to identify specific cases and general trends of the authorities misusing administrative resources for pre-election purposes.

The monitoring included (a) conducting interviews with the leaders of various political parties participating in the 2006 elections as well as with representatives of Georgian NGOs involved in election monitoring; (b) analyzing the allocation of state funds during the pre-election period based on official documentation obtained from the Tbilisi Mayor's Office and other state institutions; (c) soliciting voters' opinions about pre-election developments; (d) analyzing election legislation and the decisions of the Central Election Commission; and (e) observing the pre-election activities of the ruling party.

Based on the findings of this monitoring, at the final stage of the project, TI Georgia prepared a report that summarized the major instances of the authorities misusing four types of soft administrative resources: regulatory, institutional, budgetary, and media resources. The report also provided specific recommendations for preventing similar breaches in future elections. TI Georgia distributed this report to both government institutions and civil society actors.

TI Georgia intends to conduct similar monitoring during the upcoming parliamentary and presidential elections scheduled for 2008.




06





## საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგი

ივლისი 2006 – ივნისი 2007

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროგრამის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ახორციელებს საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს და ამზადებს პერიოდულ ანგარიშებს ამ ვალდებულებების შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის და ნატო-ს საერთაშორისო პარტიონორობის სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებზე, თუმცა ის ასევე შეისწავლის კორუფციის წინააღმდეგ ქვეყანათა ჯგუფისა (GRECO) და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანტიკორუფციული რეკომენდაციების შესრულებას და საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული დოკუმენტების, მათ შორის, 2007-2010 წლების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტისა და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის,  განხორციელების მიმდინარეობას.

პერიოდული ანგარიშებში ასახულია პრიორიტეტულ სფეროებში დაგეგმილი ცვლილებები და მიღწეული შედეგები და სხვადასხვა დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციების მოსაზრებები ამ საკითხებთან დაკავშირებით. ანგარიშები მზადდება ქართულ და ინგლისურ ენებზე და მათი ელექტრონული ვერსიები ეგზავნებათ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, დიპლომატიურ წრეებს, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, პოლიტიკურ პარტიებს, მასმედიას და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს.

2006 წელს მომზადებული ანგარიშები მოიცავდა ინფორმაციას დემოკრატიული ინსტიტუტების ქმედითობის, საჯარო სამსახურის რეფორმის, დეცენტრალიზაციის პოლიტიკის, სოციალური დაცვის, შიდა და გარე აუდიტის სისტემებისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ.

2007 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გააგრძელებს საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების შეფასებას და საზოგადოების ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ეს რეფორმები ევროპისა და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს გაწევრიანებაზე.

## GEORGIA'S INTERNATIONAL COMMITMENTS ASSESSMENT PROGRAM

July 2006 – June 2007
Ministry of Foreign Affairs of Finland

The program seeks to independently assess the Government's activities in comparison with its international commitments in order to promote their implementation and to raise public awareness of the Government's reform strategies.

TI Georgia's analysts primarily focus on the obligations under the European Neighborhood Policy Action Plan (ENP AP) but also examine the recommendations from the Group of States against Corruption (GRECO), the Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), and the North Atlantic Treaty Organization (NATO), as well as official Georgian documents, such as the Basic Data and Directions 2007-2010 and the National Anti-Corruption Strategy and Implementation Action Plan.

The analysts, following conducting meetings with major stakeholders and reviewing their policy and analytical documents, prepare independent reports that outline the main developments and opinions around different policy issues and disseminate them electronically and in print to representatives of the Government, Georgian and international public organizations, the diplomatic community, international institutions, political parties, media representatives, and the general public. The reports are prepared in Georgian and English.

The reports prepared in 2006 covered the performance of democratic institutions, civil service reform, decentralization policy, social protection, and internal and external auditing systems, among other topics. In 2007, TI Georgia will continue assessing Georgia's reform initiatives and their impact on Georgia's integration into European and North-Atlantic structures.

## სახელმწიფო ხარჯების მონიტორინგი

ივლისი 2005 – ივლისი 2006

ეროვნული შემოწირულობა დემოკრატიისათვის

პროექტი მიზნად ისახავდა ხუთი კონკრეტული ტიპის სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების გამჭვირვალობის გაზრდას, ესენი იყო: პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, პრივატიზაციიდან შემოსული თანხები, საპროცედურო გარიგებებიდან შემოსული თანხები, თავდაცვის სამინისტროს არასაბიუჯეტო ფონდი და სახაზინო ანგარიშები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განახორციელა აღნიშნული სახელმწიფო ფინანსების მონიტორინგი  და მოამზადა და გაავრცელა ყოველთვიური ანგარიშები ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომლებშიც აღწერილი იყო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის, პრივატიზაციიდან და საპროცედურო გარიგებებიდან შემოსული თანხების, თავდაცვის სამინისტროს არასაბიუჯეტო ფონდის და სახაზინო ანგარიშების განკარგვის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასევე, მითითებული იყო ის თანხები, რომელთა აკუმულირება და ხარჯვაც ხდებოდა ამ ფონდების საშუალებით.

პროექტის განხორციელების საბოლოო ეტაპზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გააკეთა იმ სახელმწიფო ხარჯების შემაჯამებელი ანალიზი, რომელთა მიმართებაშიც ყველაზე მეტი კითხვები არსებობდა საზოგადოებაში და მოამზადა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც დადებითად იმოქმედებდა ამ სფეროებში გამჭვირვალობის გაზრდაზე.

STATE EXPENDITURE MONITORING PROJECT
July 2005 – July 2006
National Endowment for Democracy

The project aimed at promoting the transparency of state expenditures and sources of revenue in five areas that lacked oversight, specifically: (1) the President's Reserve Fund, (2) revenues from privatization, (3) "plea bargaining" revenues, (4) the non-budgetary defense fund, and (5) the treasury accounts. In addition to increasing public access to these funds, TI Georgia sought to develop a system for tracking the targeted funds and to make recommendations for greater transparency in its accounting and reporting procedures and practices.

TI Georgia monitored cash flow into and out of these five entities, prepared monthly reports documenting the sources of funds, the amount and type of expenditures for each investigation, and any difficulties faced in obtaining this data, and distributed these reports in Georgian and English.

As a result, this project enabled TI Georgia to provide continuous independent assessment of the transparency of the expenditures that lacked oversight when the project was initially formulated, to develop a system for tracking these expenditures, and to elaborate specific recommendations for increasing their publicity.







## სახელმწიფო ფინანსების გამჭვირვალობა

სექტემბერი 2005 – სექტემბერი 2006

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას საბიუჯეტო პროცესების და ფინანსურ სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. ის შედგებოდა შემდეგი საფეხურებისაგან: 1) ჟურნალისტებისათვის ყოველთვიური ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო ფინანსების შესახებ, 2) საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული საგაზეთო ჩანართების მომზადება და მათი გავრცელება მთელს საქართველოში, 3) ხელისუფლების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებულ პირთა მონაწილეობით რეგიონებში მრგვალი მაგიდების მოწყობა საჯარო ფინანსების ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით მათი შეხედულებების გასაცნობად და 4) ყოველთვიური ანგარიშების მომზადება საბიუჯეტო სფეროში დაგეგმილი და განხორციელებული რეფორმების შესახებ.

პროექტის მიმდინარეობის პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა სამი საგაზეთო ჩანართი და გაავრცელა ისინი მთელი ქვეყნის მასშტაბით. საგაზეთო ჩანართებში დაიბეჭდა პროექტში მონაწილე ჟურნალისტებისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ მომზადებული სტატიები 2006 წელს ფინანსური სექტორის რეფორმის, სამომავლო გეგმების და საბიუჯეტო სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ.

ყოველთვიური ტრენინგ-სემინარების ორგანიზების გზით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ბეჭდვითი მედიის ჟურნალისტებს მიაწოდა შეძლებისდაგვარად ამომწურავი ინფორმაცია ფინანსურ სექტორში მიმდინარე პროცესების შესახებ და, შესაბამისად, დაეხმარა მათ ამ თემაზე უფრო მეტად კვალიფიციური სტატიების მომზადებაში. პროექტმა ასევე საშუალება მისცა რეგიონებში სახელისუფლებო ორგანოების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, რომ საქმის კურსში ყოფილიყვნენ ფინანსთა სამინისტროს და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მომზადებული ინიციატივების შესახებ და გამოეთქვათ თავიანთი შეფასებები, რომლებიც შეჯამებული სახით მიეწოდებოდა შესაბამის სამინისტროებსა და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს.

აგვისტოში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა და გაავრცელა საბოლოო ანგარიში ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელშიც განხილული იყო სახელმწიფო ფინანსების მართვის სფეროში 2006 წელს განხორციელებული ცვლილებები და დარჩენილი პრობლემები.

## ECONOMIC GOVERNANCE AND PUBLIC FINANCE

September 2005 — September 2006

Royal Netherlands Embassy

The project was designed to increase public awareness of the budgetary process in Georgia and disseminate information about the reforms carried out in the financial sector by: (a) conducting monthly training-seminars for journalists on public finance topics; (b) producing newspaper inserts covering public finance related issues at the central and local level; (c) conducting roundtable discussions with representatives of the Government, businessmen, and other interest groups in the regions to learn their opinions and concerns on matters relevant to public finance administration; and (d) producing monthly reports on major issues and developments in the public finance sector.

TI Georgia distributed over 75,000 newspaper inserts throughout Georgia. Newspaper inserts presented articles prepared by TI Georgia on major reforms carried out in the public finance sector in 2006 and future plans and articles on regional issues prepared by journalists participating in the program.

The project enhanced the regional journalists' knowledge of the fields and strengthened their ability to write better quality articles on related developments at the national and local level. It also provided regional public officials and other stakeholders with information about the initiatives of the Ministry of Finance and the Ministry of Economic Development and gave them an opportunity to express their opinions and suggestions in regard to these initiatives. This information was then consolidated and forwarded to the respective ministries and other state institutions.

In August, TI Georgia prepared and disseminated a final report in English and Georgian, which outlined the main developments in public finance planning and management in 2006 and highlighted the remaining concerns in this sector.

## 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგი

ივნისი 2006 – სექტემბერი 2006

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ „ამერიკული საბჭოების“ საქართველოს ოფისთან ერთად 2006 წელს, უკვე მეორედ 2005 წლის შემდეგ, განახორციელა ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგი. „ამერიკული საბჭოები“ მონაწილეობდა საერთაშორისო მონიტორინგის პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ოთხი საერთაშორისო ექსპერტი ეწვია სხვადასხვა საგამოცდო ცენტრს და დააკვირდა საგამოცდო პროცესის მიმდინარეობას. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ კოორდინაცია გაუწია ადგილობრივ მონიტორინგს: კერძოდ, თოთხმეტსავე საგამოცდო ცენტრში, მთელი საგამოცდო პროცესის მანძილზე, მუდმივად იმყოფებოდა ორგანიზაციის ოთხ-ოთხი დამკვირვებელი.

პროექტის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“: შეაფასა ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხი და ხელმისაწვდომობა და ასევე, აბიტურიენტთა რეგისტაციის პროცედურათა გამართულობა; დააკვირდა გამოცდების მიმდინარეობას და გამოცდების შედეგების გასაჩივრების პროცესს; და ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა გამოცდებისადმი ხალხის განწყობის დასადგენად. ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოკითხეს 2244 აბიტურიენტი, 2240 მშობელი და 273 გამოცდის ადმინისტრატორი. გამოკითხვაში ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ახალი საგამოცდო სისტემის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება, ამ სისტემასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გამოცდების ადმინისტრირების ხარისხი, საგამოცდო ტესტების შესაბამისობა სასკოლო პროგრამებთან და ა.შ.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების შენიშვნების, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებისა და საგამოცდო პროცედურების მონიტორინგის შედეგად შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ და „ამერიკულმა საბჭოებმა“ მოამზადეს შემაჯამებელი ანგარიში, რომელიც, სხვა ინფორმაციასთან ერთად, შეიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შემდგომი დახვეწის შესახებ. ანგარიში დაურიგდათ საქართველოს განათლების სამინისტროს, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

MONITORING THE 2006 UNIFIED NATIONAL EXAMS IN GEORGIA
June 2006 – September 2006
United States Agency for International Development

TI Georgia, in cooperation with American Councils in Georgia, implemented a program focused on promoting transparency in the second year of the Unified National Exams for admission into Georgian universities. American Councils was responsible for the international component of the project and provided four international observers, who visited testing centers throughout the country. TI Georgia coordinated the local monitoring program, placing four observers at each of the fourteen testing sites for the entire period of the examinations.

TI Georgia completed: the observation and evaluation of public information about the exam; an evaluation of registration, test administration, and appeals procedures; and an assessment of public attitudes towards the UNE. TI Georgia monitors surveyed a total of 2244 test takers, 2240 parents, and 273 test administrators. Survey questions focused not only on the testing process, but also on the distribution of information beforehand, the registration process, and academic preparation for the exams.

Using the comments of the local and international monitors, the results of the TI Georgia-administered survey, and information gathered through various interviews and site visits, TI Georgia and American Councils developed a number of recommendations for the further improvement of the UNE, which were delivered to the Ministry of Education and Science, the National Assessment and Examinations Center, and the general public.





## ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტურობის კვლევა

სექტემბერი 2005 – დეკემბერი 2006

გაერთიანებული სამეფოს განვითარების საერთაშორისო დეპარტამენტი

საქართველოს მთავრობის მიერ გამოთქმული ინტერესის საპასუხოდ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეიმუშავა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა, სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურების მიერ მოქალაქეებისთვის მომსახურების გაწევის ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საქართველოს მთავრობასთან კონსულტაციების შედეგად შეარჩია ორი სტრუქტურა: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტი და გააანალიზა მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი და ამ ხარისხით საზოგადოების კმაყოფილების დონე.

კვლევა სამ ძირითად კომპონენტს მოიცავდა: 1) შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზი და ხარვეზების გამოვლენა, 2) რიგითი მოქალაქეების გამოცდილებისა და მოსაზრებების კვლევა ამ ორი სტრუქტურის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ ე.წ. ფოკუსური ჯგუფების შეხვედრების, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და პირდაპირი დაკვირვების საშუალებით, და 3) კვლევის სფეროებში ბალტიისპირეთის ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გაცნობა. ამ რამდენიმე კომპონენტის გაერთიანებამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მისცა საშუალება, მთავრობისთვის მიეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია გამოვლენილ საკანონმდებლო ხარვეზების, ორი სახელისუფლებო სტრუქტურის ადმინისტრაციული პროცედურების მიმართ მომხმარებლების განწყობის და ამ სფეროებში სხვა ქვეყნების დადებითი გამოცდილების შესახებ.

კვლევის შედეგები და შესაბამისი რეკომენდაციები ორგანიზაციამ საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდა 2005 წლის ნოემბერში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 2006 წლის სექტემბეროქტომბერში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ ჩაატარა ხელახალი მონიტორინგი, რათა შეეფასებინა პროექტის პირველ ეტაპზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში, მოემზადებინა დამატებითი რეკომენდაციები მონიტორინგში ჩართული სტრუქტურების შემდგომი სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით. როგორც კვლევამ ცხადყო, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტმა შეძლეს კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რამაც გაამარტივა მათი პროცედურები, შეამცირა ბიუროკრატია და გაზარდა მოსახლეობის კმაყოფილება მათ მიერ გაწეული მომსახურებით.

## GOVERNMENT EFFICIENCY STUDY
September 2005 — December 2006
UK Department for International Development

TI Georgia developed this project in response to the interest of the Government of Georgia to develop a methodology for evaluating the efficiency of the Government's administrative procedures and enhance its ability to provide quality services to its citizens. To achieve this goal TI Georgia, in consultation with the Government, selected two state agencies from different sectors, the National Agency for Civil Registry and the War Veterans' Department, and conducted an independent analysis of administrative procedures used by these agencies.

The analysis consisted of three main parts: (a) reviewing the legislative framework in place and identifying areas for improvement, (b) learning ordinary citizens' experiences and opinions concerning the two targeted agencies through focus group discussions, in-depth interviews, and direct monitoring, and (c) gathering materials related to similar agencies in Baltic countries to compare the efficiency and practicality of service delivery in Georgia with other countries in democratic transition. The three-layer approach allowed TI Georgia to provide the Government with the most comprehensive data on the legislative pitfalls in the selected areas, the end-users' perceptions about the targeted procedures, and the mechanisms used by other countries to promote efficiency of these procedures.

In November of 2005 TI Georgia delivered written recommendations to the Government on how to address the problems observed in the Civil Registry and the Veterans' Department. Approximately one year later, in September-October of 2006, TI Georgia conducted a repeat analysis of the two agencies to track the Government's adherence to the provided recommendations and assess their effectiveness. The study revealed that the Government was able to take concrete actions in response to TI Georgia's initial analysis and recommendations, streamlining its procedures, reducing unnecessary bureaucracy, and enhancing citizens' satisfaction with state services. The project helped to increase the efficiency of the two agencies and developed a methodology that could be replicated to assess public service delivery in other areas.

## საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი

აპრილი 2006 – ნოემბერი 2006

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში

2006 წელს საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილია ის მოკლე და საშუალოვადიანი ანტიკორუფციული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში იგეგმება. პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, ეროვნულ ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში გაწერილი პრიორიტეტული რეფორმების ხელშეწყობის პარალელურად, სამინისტროებს დაევალათ შიდა სტრუქტურული სამოქმედო გეგმების მომზადება, რომლებშიც განხილული იქნებოდა სამინისტროების ადმინისტრირების სფეროებში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გარდა ამისა, სამინისტროებს დაევალათ ეროვნული და შიდა სტრუქტურული სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ პერიოდული ანგარიშების მომზადება მთავრობისთვის წარდგენა.

ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფარგლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ სამინისტროების მიერ მომზადებული შიდა სტრუქტურული სამოქმედო გეგმები თარგმნა რუსულ და ინგლისურ ენებზე, შეაფასა მთავრობის მიერ ეროვნული და ცალკეული სამინისტროების მიერ მომზადებული სამოქმედო გეგმების შესრულების მიმდინარეობა და მთავრობის დოკუმენტები და ამ დოკუმენტების შესრულების ანგარიში გაავრცელა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასმედიაში და საქართველოს რეგიონებში.

## MONITORING THE IMPLEMENTATION OF GEORGIA'S ANTI-CORRUPTION STRATEGY

April 2006 — November 2006

Organisation for Security and Co-operation in Europe Mission to Georgia

In order to promote public oversight of the implementation of the Government's anti-corruption initiatives, in 2006, TI Georgia monitored the implementation of the National Anti-Corruption Strategy and its Implementation Action Plan adopted in 2005. These documents outlined the Government's short- and medium-term reform priorities aimed at combating corruption. According to the decree by which the Strategy Implementation Action Plan was approved, government ministries had to develop individual action plans outlining corruption problems in their respective fields and specific actions for their eradication. They were also required to submit periodic progress reports on the implementation of the action plans at the national and ministerial levels.

TI Georgia collected the individual action plans from the ministries, translated them into English and Russian languages, and disseminated them to domestic and international NGOs, the mass media, and the general public together with its analysis of the action plans content and their elaboration process. In addition to the ministerial action plans, TI Georgia evaluated and publicized information about the Government's anti-corruption initiatives and their consistency with the official Strategy.

# სხვა საქმიანობა და ღონისძიებები

## 2006 ᲬᲚᲘᲡ „ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲘᲡ ᲐᲦᲥᲛᲘᲡ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ“

6 ნოემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა 2006 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსის“ (CPI) კვლევის შედეგები. კვლევისას ხდება ქვეყნების რანგირება იმის მიხედვით, თუ რამდენად დადებითად ან უარყოფითად აფასებენ უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენები და ექსპერტები ამ ქვეყნებში კორუფციის გავრცელების დონეს. წელს საქართველომ მაქსიმალური 10 ქულიდან 2.8 ქულა მიიღო და გამოკვლეულ 163 ქვეყანას შორის 99-ე ადგილი დაიკავა.

2004 წელს, ამავე კვლევის შედეგებით, საქართველოს 2.0 ქულა ჰქონდა, ხოლო 2005 წელს – 2.3 ქულა. ორი წლის მანძილზე 0.8-ქულიანი ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა, რაც განპირობებულია 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ რამდენიმე პრობლემურ სფეროში განხორციელებული რეფორმებით, თუმცა 3.0 ქულაზე დაბალი მაჩვენებელი იმას მიუთითებს, რომ კორუფციის პრობლემა ქვეყანაში კვლავ მწვავედ აღიქმება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის თამუნა ქაროსანიძის აზრით, „საქართველოს მთავრობა ეფექტურად აშუქებს განხორციელებული რეფორმების პოზიტიურ შედეგებს, თუმცა ნაკლებ ყურადღებას უთმობს საზოგადოების ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რა პრობლემებზე აპირებს ის ყურადღების გამახვილებას მომდევნო რამდენიმე თვისა და წლის განმავლობაში და როგორ გეგმავს ამ პრობლემების მოგვარებას. შესაბამისად, საზოგადოებას ნაკლებად ეძლევა იმის საშუალება, რომ საკუთარი შეხედულებები გამოთქვას პრიორიტეტული სფეროებისა და მათი რეფორმირების გზების შესახებ და მონაწილეობა მიიღოს ცვლილებების განხორციელების პროცესში.“

ბოლო ორი წლის მანძილზე 0.8-იანი ზრდა დღემდე წარმატებულად განხორციელებული რეფორმების შედეგია. იმისთვის, რომ პოზიტიურ შედეგებს მდგრადი ხასიათი ჰქონდეს და შესაბამისად გაიზარდოს საზოგადოების კეთილგანწყობა, საჭიროა, ხელისუფლებამ მეტი დრო დაუთმოს მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებას და უზრუნველყოს ამ პროცესში მისი ჩართვა.

# Other Activities and Events

## CORRUPTION PERCEPTION INDEX 2006

On 6 November 2006, Transparency International published the results of the Corruption Perception Index 2006, which ranks countries in terms of the degree in which business people and country analysts, both residents and non-residents, perceive corruption to exist in the public and political sectors. This year Georgia received 2.8 points (out of a total ten), ranking 99th among the 163 countries included in the survey.

In 2004, Georgia received 2.0 and in 2005 — 2.3. The 0.8 point improvement over the two year period is a significant increase in Georgia's score, indicating that important steps have been taken by the Government of Georgia since the Rose Revolution in November 2003. Nonetheless, with a score below 3.0, it is clear that there is still a perception of endemic corruption in the country.

According to Tamuna Karosanidze, Executive Director of TI Georgia, "The Government of Georgia effectively highlights the positive results of reforms that have already been implemented. However, there is still a problem of informing people in advance about what the Government's future priority areas are and how to implement reforms in those sectors. As a result, there is less public participation in and support for current and upcoming initiatives than there should be."

Georgia's score increased by 0.8 during the past two years because of the Government's recent successful reform initiatives. In order for the Government's anti-corruption campaign to produce sustainable results and for public satisfaction to increase accordingly, efforts should be focused upon informing the public about the Government's current activities and involving them in the process.

| ადგილი/ Country Rank | ქვეყანა/Country | ქულა/ 2006 CPI Score | გამოყენებული კვლევების რაოდენობა/ Surveys used | ცდომილება/ Confidence range |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფინეთი/Finland | 9,6 | 7 | 9.4 - 9.7 |
| 1 | ისლანდია/Iceland | 9,6 | 6 | 9.5 - 9.7 |
| 1 | ახალი ზელანდია/New Zealand | 9,6 | 7 | 9.4 - 9.6 |
| 4 | დანია/Denmark | 9,5 | 7 | 9.4 - 9.6 |
| 5 | სინგაპური/Singapore | 9,4 | 9 | 9.2 - 9.5 |
| 6 | შვედეთი/Sweden | 9,2 | 7 | 9.0 - 9.3 |
| 7 | შვეიცარია/Switzerland | 9,1 | 7 | 8.9 - 9.2 |
| 8 | ნორვეგია/Norway | 8,8 | 7 | 8.4 - 9.1 |
| 9 | ავსტრალია/Australia | 8,7 | 8 | 8.3 - 9.0 |
| 9 | ნიდერლანდები/Netherlands | 8,7 | 7 | 8.3 - 9.0 |
| 11 | ავსტრია/Austria | 8,6 | 7 | 8.2 - 8.9 |
| 11 | ლუქსემბურგი/Luxembourg | 8,6 | 6 | 8.1 - 9.0 |
| 11 | გაერთიანებული სამეფო/UK | 8,6 | 7 | 8.2 - 8.9 |
| 14 | კანადა/Canada | 8,5 | 7 | 8.0 - 8.9 |
| 15 | ჰონგ-კონგი/Hong Kong | 8,3 | 9 | 7.7 - 8.8 |
| 16 | გერმანია/Germany | 8 | 7 | 7.8 - 8.4 |
| 17 | იაპონია/Japan | 7,6 | 9 | 7.0 - 8.1 |
| 18 | საფრანგეთი/France | 7,4 | 7 | 6.7 - 7.8 |
| 18 | ირლანდია/Ireland | 7,4 | 7 | 6.7 - 7.9 |
| 20 | ბელგია/Belgium | 7,3 | 7 | 6.6 - 7.9 |
| 20 | ჩილე/Chile | 7,3 | 7 | 6.6 - 7.6 |
| 20 | აშშ/USA | 7,3 | 8 | 6.6 - 7.8 |
| 23 | ესპანეთი/Spain | 6,8 | 7 | 6.3 - 7.2 |
| 24 | ბარბადოსი/Barbados | 6,7 | 4 | 6.0 - 7.2 |
| 24 | ესტონეთი/Estonia | 6,7 | 8 | 6.1 - 7.4 |
| 26 | მაკაო/Macao | 6,6 | 3 | 5.4 - 7.1 |
| 26 | პორტუგალია/Portugal | 6,6 | 7 | 5.9 - 7.3 |
| 28 | მალტა/Malta | 6,4 | 4 | 5.4 - 7.3 |
| 28 | სლოვენია/Slovenia | 6,4 | 8 | 5.7 - 7.0 |
| 28 | ურუგვაი/Uruguay | 6,4 | 5 | 5.9 - 7.0 |
| 31 | არაბეთის გაერთიანებული საემიროები/UAE | 6,2 | 5 | 5.6 - 6.9 |
| 32 | ბუტანი/Bhutan | 6 | 3 | 4.1 - 7.3 |
| 32 | კატარი/Qatar | 6 | 5 | 5.6 - 6.5 |
| 34 | ისრაელი/Israel | 5,9 | 7 | 5.2 - 6.5 |
| 34 | ტაივანი/Taiwan | 5,9 | 9 | 5.6 - 6.2 |
| 36 | ბაჰრეინი/Bahrain | 5,7 | 5 | 5.3 - 6.2 |
| 37 | ბოცვანა/Botswana | 5,6 | 6 | 4.8 - 6.6 |
| 37 | კვიპროსი/Cyprus | 5,6 | 4 | 5.2 - 5.9 |
| 39 | ომანი/Oman | 5,4 | 3 | 4.1 - 6.2 |
| 40 | იორდანია/Jordan | 5,3 | 7 | 4.5 - 5.7 |
| 41 | უნგრეთი/Hungary | 5,2 | 8 | 5.0 - 5.4 |

| ადგილი/ Country Rank | ქვეყანა/Country | ქულა/ 2006 CPI Score | გამოყენებული კვლევების რაოდენობა/ Surveys used | ცდომილება/ Confidence range |
|---|---|---|---|---|
| 42 | მავრიკია/Mauritius | 5,1 | 5 | 4.1 - 6.3 |
| 42 | სამხრეთ კორეა/South Korea | 5,1 | 9 | 4.7 - 5.5 |
| 44 | მალაიზია/Malaysia | 5 | 9 | 4.5 - 5.5 |
| 45 | იტალია/Italy | 4,9 | 7 | 4.4 - 5.4 |
| 46 | ჩეხეთის რესპუბლიკა/Czech Republic | 4,8 | 8 | 4.4 - 5.2 |
| 46 | კუვეიტი/Kuwait | 4,8 | 5 | 4.0 - 5.4 |
| 46 | ლიტვა/Lithuania | 4,8 | 6 | 4.2 - 5.6 |
| 49 | ლატვია/Latvia | 4,7 | 6 | 4.0 - 5.5 |
| 49 | სლოვაკეთი/Slovakia | 4,7 | 8 | 4.3- 5.2 |
| 51 | სამხრეთ აფრიკა/South Africa | 4,6 | 8 | 4.1 - 5.1 |
| 51 | ტუნისი/Tunisia | 4,6 | 5 | 3.9 - 5.6 |
| 53 | დომინიკა/Dominica | 4,5 | 3 | 3.5 - 5.3 |
| 54 | საბერძნეთი/Greece | 4,4 | 7 | 3.9 - 5.0 |
| 55 | კოსტა რიკა/Costa Rica | 4,1 | 5 | 3.3 - 4.8 |
| 55 | ნამიბია/Namibia | 4,1 | 6 | 3.6 - 4.9 |
| 57 | ბულგარეთი/Bulgaria | 4 | 7 | 3.4 - 4.8 |
| 57 | სალვადორი/El Salvador | 4 | 5 | 3.2 - 4.8 |
| 59 | კოლუმბია/Colombia | 3,9 | 7 | 3.5 - 4.7 |
| 60 | თურქეთი/Turkey | 3,8 | 7 | 3.3 - 4.2 |
| 61 | იამაიკა/Jamaica | 3,7 | 5 | 3.4 - 4.0 |
| 61 | პოლონეთი/Poland | 3,7 | 8 | 3.2 - 4.4 |
| 63 | ლიბანი/Lebanon | 3,6 | 3 | 3.2 - 3.8 |
| 63 | სეიშელის კუნძულები/Seychelles | 3,6 | 3 | 3.2 - 3.8 |
| 63 | ტაილანდი/Thailand | 3,6 | 9 | 3.2 - 3.9 |
| 66 | ბელიზი/Belize | 3,5 | 3 | 2.3 - 4.0 |
| 66 | კუბა/Cuba | 3,5 | 3 | 1.8 - 4.7 |
| 66 | გრენადა/Grenada | 3,5 | 3 | 2.3 - 4.1 |
| 69 | ხორვატია/Croatia | 3,4 | 7 | 3.1 - 3.7 |
| 70 | ბრაზილია/Brazil | 3,3 | 7 | 3.1 - 3.6 |
| 70 | ჩინეთი/China | 3,3 | 9 | 3.0 - 3.6 |
| 70 | ეგვიპტე/Egypt | 3,3 | 6 | 3.0 - 3.7 |
| 70 | განა/Ghana | 3,3 | 6 | 3.0 - 3.6 |
| 70 | ინდოეთი/India | 3,3 | 10 | 3.1 - 3.6 |
| 70 | მექსიკა/Mexico | 3,3 | 7 | 3.1 - 3.4 |
| 70 | პერუ/Peru | 3,3 | 5 | 2.8 - 3.8 |
| 70 | საუდის არაბეთი/Saudi Arabia | 3,3 | 3 | 2.2 - 3.7 |
| 70 | სენეგალი/Senegal | 3,3 | 5 | 2.8 - 3.7 |
| 79 | ბურკინა ფასო/Burkina Faso | 3,2 | 5 | 2.8 - 3.6 |
| 79 | ლესოთო/Lesotho | 3,2 | 5 | 2.9 - 3.6 |
| 79 | მოლდოვა/Moldova | 3,2 | 7 | 2.7 - 3.8 |
| 79 | მაროკო/Morocco | 3,2 | 6 | 2.8 - 3.5 |

| ადგილი/ Country Rank | ქვეყანა/Country | ქულა/ 2006 CPI Score | გამოყენებული კვლევების რაოდენობა/ Surveys used | ცდომილება/ Confidence range |
|---|---|---|---|---|
| 79 | ტრინიდადი და ტობაგო/Trinidad and Tobago | 3,2 | 5 | 2.8 - 3.6 |
| 84 | ალჟირი/Algeria | 3,1 | 5 | 2.7 - 3.6 |
| 84 | მადაგასკარი/Madagascar | 3,1 | 5 | 2.3 - 3.7 |
| 84 | მავრიტანია/Mauritania | 3,1 | 4 | 2.1 - 3.7 |
| 84 | პანამა/Panama | 3,1 | 5 | 2.8 - 3.3 |
| 84 | რუმინეთი/Romania | 3,1 | 8 | 3.0 - 3.2 |
| 84 | შრი ლანკა/Sri Lanka | 3,1 | 6 | 2.7 - 3.5 |
| 90 | გაბონი/Gabon | 3 | 4 | 2.4 - 3.3 |
| 90 | სერბეთი/Serbia | 3 | 7 | 2.7 - 3.3 |
| 90 | სურინამი/Suriname | 3 | 4 | 2.7 - 3.3 |
| 93 | არგენტინა/Argentina | 2,9 | 7 | 2.7 - 3.2 |
| 93 | სომხეთი/Armenia | 2,9 | 6 | 2.7 - 3.0 |
| 93 | ბოსნია-ჰერცეგოვინა/Bosnia and Herzegovina | 2,9 | 6 | 2.7 - 3.1 |
| 93 | ერითრეა/Eritrea | 2,9 | 3 | 2.2 - 3.5 |
| 93 | სირია/Syria | 2,9 | 3 | 2.3 - 3.2 |
| 93 | ტანზანია/Tanzania | 2,9 | 7 | 2.7 - 3.1 |
| 99 | დომინიკის რესპუბლიკა/Dominican Republic | 2,8 | 5 | 2.4 - 3.2 |
| 99 | საქართველო/Georgia | 2,8 | 6 | 2.5 - 3.0 |
| 99 | მალი/Mali | 2,8 | 7 | 2.5 - 3.3 |
| 99 | მონღოლეთი/Mongolia | 2,8 | 5 | 2.3 - 3.4 |
| 99 | მოზამბიკი/Mozambique | 2,8 | 7 | 2.5 - 3.0 |
| 99 | უკრაინა/Ukraine | 2,8 | 6 | 2.5 - 3.0 |
| 105 | ბოლივია/Bolivia | 2,7 | 6 | 2.4 - 3.0 |
| 105 | ირანი/Iran | 2,7 | 3 | 2.3 - 3.1 |
| 105 | ლიბია/Libya | 2,7 | 3 | 2.4 - 3.2 |
| 105 | მაკედონია/Macedonia | 2,7 | 6 | 2.6 - 2.9 |
| 105 | მალავი/Malawi | 2,7 | 7 | 2.5 - 3.0 |
| 105 | უგანდა/Uganda | 2,7 | 7 | 2.4 - 3.0 |
| 111 | ალბანეთი/Albania | 2,6 | 5 | 2.4 - 2.7 |
| 111 | გვატემალა/Guatemala | 2,6 | 5 | 2.3 - 3.0 |
| 111 | ყაზახეთი/Kazakhstan | 2,6 | 6 | 2.3 - 2.8 |
| 111 | ლაოსი/Laos | 2,6 | 4 | 2.0 - 3.1 |
| 111 | ნიკარაგუა/Nicaragua | 2,6 | 6 | 2.4 - 2.9 |
| 111 | პარაგვაი/Paraguay | 2,6 | 5 | 2.2 - 3.3 |
| 111 | ტიმორ-ლესტე/Timor-Leste | 2,6 | 3 | 2.3 - 3.0 |
| 111 | ვიეტნამი/Vietnam | 2,6 | 8 | 2.4 - 2.9 |
| 111 | იემენი/Yemen | 2,6 | 4 | 2.4 - 2.7 |
| 111 | ზამბია/Zambia | 2,6 | 6 | 2.1 - 3.0 |
| 121 | ბენინი/Benin | 2,5 | 6 | 2.1 - 2.9 |
| 121 | გამბია/Gambia | 2,5 | 6 | 2.3 - 2.8 |
| 121 | გვინეა/Guyana | 2,5 | 5 | 2.2 - 2.6 |

| ადგილი/ Country | ქვეყანა/Country | ქულა/ 2006 CPI Score | გამოყენებული კვლევების რაოდენობა/ Surveys used | ცდომილება/ Confidence range |
|---|---|---|---|---|
| 121 | ჰონდურასი/Honduras | 2,5 | 6 | 2.4 - 2.7 |
| 121 | ნეპალი/Nepal | 2,5 | 5 | 2.3 - 2.9 |
| 121 | ფილიპინები/Phillipines | 2,5 | 9 | 2.3 - 2.8 |
| 121 | რუსეთი/Russia | 2,5 | 8 | 2.3 - 2.7 |
| 121 | რუანდა/Rwanda | 2,5 | 3 | 2.3 - 2.6 |
| 121 | სვაზილენდი/Swaziland | 2,5 | 3 | 2.2 - 2.7 |
| 130 | აზერბაიჯანი/Azerbaijan | 2,4 | 7 | 2.2 - 2.6 |
| 130 | ბურუნდი/Burundi | 2,4 | 5 | 2.2 - 2.6 |
| 130 | ცენტრ. აფრიკის რესპ./Central African Republic | 2,4 | 3 | 2.2 - 2.5 |
| 130 | ეთიოპია/Ethiopia | 2,4 | 7 | 2.2 - 2.6 |
| 130 | ინდონეზია/Indonesia | 2,4 | 10 | 2.2 - 2.6 |
| 130 | პაპუა ახალი გვინეა/Papua New Guinea | 2,4 | 4 | 2.3 - 2.6 |
| 130 | ტოგო/Togo | 2,4 | 3 | 1.9 - 2.6 |
| 130 | ზიმბაბვე/Zimbabwe | 2,4 | 7 | 2.0 - 2.8 |
| 138 | კამერუნი/Cameroon | 2,3 | 7 | 2.1 - 2.5 |
| 138 | ეკვადორი/Ecuador | 2,3 | 5 | 2.2 - 2.5 |
| 138 | ნიგერი/Niger | 2,3 | 5 | 2.1 - 2.6 |
| 138 | ვენესუელა/Venezuela | 2,3 | 7 | 2.2 - 2.4 |
| 142 | ანგოლა/Angola | 2,2 | 5 | 1.9 - 2.4 |
| 142 | კონგოს რესპუბლიკა/Republic of Congo | 2,2 | 4 | 2.2 - 2.3 |
| 142 | კენია/Kenya | 2,2 | 7 | 2.0 - 2.4 |
| 142 | ყირგიზეთი/Kyrgyzstan | 2,2 | 6 | 2.0 - 2.6 |
| 142 | ნიგერია/Nigeria | 2,2 | 7 | 2.0 - 2.3 |
| 142 | პაკისტანი/Pakistan | 2,2 | 6 | 2.0 - 2.4 |
| 142 | სიერა ლეონე/Sierra Leone | 2,2 | 3 | 2.2 - 2.3 |
| 142 | ტაჯიკეთი/Tajikistan | 2,2 | 6 | 2.0 - 2.4 |
| 142 | თურქმენეთი/Turkmenistan | 2,2 | 4 | 1.9 - 2.5 |
| 151 | ბელარუსი/Belarus | 2,1 | 4 | 1.9 - 2.2 |
| 151 | კამბოჯა/Cambodia | 2,1 | 6 | 1.9 - 2.4 |
| 151 | კოტ დ'ივუარი/Côte d' Ivoire | 2,1 | 4 | 2.0 - 2.2 |
| 151 | ეკვატორიალური გვინეა/Equatorial Guinea | 2,1 | 3 | 1.7 - 2.2 |
| 151 | უზბეკეთი/Uzbekistan | 2,1 | 5 | 1.8 - 2.2 |
| 156 | ბანგლადეში/Bangladesh | 2 | 6 | 1.7 - 2.2 |
| 156 | ჩადი/Chad | 2 | 6 | 1.8 - 2.3 |
| 156 | კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა/DRC | 2 | 4 | 1.8 - 2.2 |
| 156 | სუდანი/Sudan | 2 | 4 | 1.8 - 2.2 |
| 160 | გვინეა/Guinea | 1,9 | 3 | 1.7 - 2.1 |
| 160 | ერაყი/Iraq | 1,9 | 3 | 1.6 - 2.1 |
| 160 | მიანმა/Myanmar | 1,9 | 3 | 1.8 - 2.3 |
| 163 | ჰაიტი/Haiti | 1,8 | 3 | 1.7 - 1.8 |

## მასმედიის მიმართ სახელისუფლებო სქტუქტურების გახსნილობის კვლევის შედეგები

28 სექტემბერს, ინფორმაციის მიღების უფლების საერთაშორისო დღეს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა მასმედიის მიმართ სახელისუფლებო სტრუქტურების გახსნილობის კვლევის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისისა და რეგიონების 109 ჟურნალისტმა, მათ შორის, 7 ტელევიზიის ჟურნალისტმა, ოთხმა რადიოჟურნალისტმა, 25 გაზეთის ჟურნალისტმა და 6 საინფორმაციო სააგენტოს წარმომადგენელმა. კვლევა ძირითადად ეხებოდა იმას, თუ რამდენად ადვილია ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის მიღება სახელისუფლებო სტრუქტურებიდან, რა მეთოდებით იღებენ ისინი ინფორმაციას და როგორია სახელისუფლებო ორგანოებთან მათი ურთიერთობის ზოგადი გამოცდილება.

ჟურნალისტების პასუხების თანახმად, მათი უმეტესი ნაწილი (61%) იღებს მოთხოვნილ ინფორმაციას. მაგრამ, როგორც კვლევიდან ირკვევა, მასმედიის წარმომადგენლები სირთულეებს მაინც აწყდებიან იმ ინფორმაციის მოპოვების მცდელობისას, რომელიც ეხება ამა თუ იმ სტრუქტურაში გამოვლენილ პრობლემას ან დარღვევას, ან ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას. ჟურნალისტების თქმით, სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები ინფორმაციის გაცემაზე უარს მოცემულ ეტაპზე ინფორმაციის არქონით ასაბუთებენ, თუმცა გამოკითხულთა 59%-ის აზრით, მათი რესპონდენტებისთვის ინფორმაცია ცნობილია და ისინი საზოგადოებისგან მის დაფარვას ცდილობენ.

ჟურნალისტებმა საკუთარი აზრი გამოთქვეს არა მხოლოდ ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, არამედ მათ დაასახელეს ყველაზე დახურული და ყველზე ღია სახელისუფლებო სტრუქტურები. თბილისისა და რეგიონების ჟურნალისტების პასუხები ძირითადად დაემთხვა. მასმედიის წარმომადგენელთა უმეტესობამ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და თავდაცვის სამინისრო დაასახელეს ყველაზე დახურულად. რაც შეეხება ყველაზე ღია სახელისუფლებო სტრუქტურებს, აქ დასახელდა: კულტურის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

## SURVEY ON THE MEDIA'S ACCESS TO INFORMATION FROM OFFICIAL SOURCES

On 28 September, International Right to Know Day, TI Georgia released the results of an investigation of the media's access to information from official sources in Georgia. This investigation was conducted through a survey of 109 journalists from various national and regional media sources: Representatives from seven television stations, four radio stations, twenty-five newspapers, and six news agencies responded to the survey prepared by TI Georgia. The survey questions related to ease of receiving information from government institutions, most commonly used methods for receiving this information, and the overall experience of the media in working with government institutions.

As journalists' responses to the survey showed, the majority manages to obtain information from government structures (61%), however, when it comes to receiving information regarding a current problem, a violation in a given sphere, or information about finances, journalists often face difficulties. According to journalists, government institutions explain the refusal to provide information by saying that the requested information is not available at the time, but 59% of them think that the Government has this information and does not want to reveal it.

In addition to questions about the overall availability of official information, journalists were asked to identify the most closed and most open government institutions. The responses to this question from the journalists in Tbilisi and those in the regions largely corresponded. The majority of them named the Ministry of Internal Affairs, the prosecutor's office, and the Ministry of Defense as the most closed government institutions. Regarding the most open government institutions, many journalists from both groups named: the Ministry of Culture, Monuments Protection, and Sport; the Ministry of Labor, Health and Social Affairs; and the Ministry of Agriculture.





## „გამჭვირვალე ბიუჯეტის კითხვარი“

2006 წლის 18 ოქტომბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მონაწილეობა მიიღო „ბიუჯეტის საერთაშორისო პროექტის“ მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციაში, რომელიც ვაშინგტონში გაიმართა. პრესკონფერენცია მიზნად ისახავდა „გამჭვირვალე ბიუჯეტის ინდექსის“ შედეგების გამოქვეყნებას. გამჭვირვალე ბიუჯეტის ინდექსი პირველი ინდექსია, რომელიც ქვეყნებს ბიუჯეტის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიხედვით აფასებს. მისი მიზანია, მოქალაქეებს, კანონმდებლებს, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს და სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს მიაწოდოს ინფორმაცია სახელმწიფო ფინანსების სფეროში არსებული ხარვეზების შესახებ და ამ გზით დაეხმაროს მათ შესაბამისი ცვლილებების მომზადებასა და განხორციელებაში.

„გამჭვირვალე ბიუჯეტის ინდექსის“ შედეგები ეყრდნობა 59 ქვეყნის წამომადგენლის მიერ შევსებული კითხვარების პასუხებს. კითხვარი მოიცავდა შეკითხვებს საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობაზე, საზოგადოებისათვის სრულყოფილი საბიუჯეტო მონაცემების მიწოდებაზე და ბიუჯეტის დაგეგმვისა და შეფასების ხარისხზე. საქართველოს შესახებ კითხვარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ შეავსო და ინფორმაცია „ბიუჯეტის საერთაშორისო პროექტს“ მიაწოდა შემდგომი ანალიზისათვის. ამ ანალიზის შედეგად საქართველომ 100-დან 33 ქულა მიიღო და შესაბამისად მოხვდა იმ ქვეყნების კატეგორიაში, რომლებიც მინიმალურ ინფორმაციას აწვდიან საკუთარ მოქალაქეებს.

2006 წლის „გამჭვირვალე ბიუჯეტის ინდექსის“ სრული ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ: www.openbudgetindex.org/SummaryReport.pdf.

## OPEN BUDGET QUESTIONNAIRE

On 18 October 2006, TI Georgia participated in a press conference organized by the International Budget Project in Washington, DC to unveil the results of the Open Budget Index – the first index to rate countries on budget transparency and accountability. The Index was intended to provide citizens, legislators, and civil society advocates with a comprehensive cross-country analysis in order to identify budget reforms needed in different countries that would combat corruption and promote economic development.

The Open Budget Index was calculated from the responses to a questionnaire completed by 59 country representatives around the world. The questionnaire focused on transparency of the budget process, comprehensiveness of budget data provided to the public, and quality of budget planning and evaluation. TI Georgia completed the questionnaire for Georgia and submitted this information to the International Budget Project for further analysis. As a result of this analysis, Georgia received a score of 33 out of total 100 and fell under the category of countries that provide minimal information to citizens.

The full report about the Open Budget Index 2006 can be accessed at: www.openbudgetindex.org/SummaryReport.pdf.

## არჩევნების მონიტორინგი

2006 წლის 5 ოქტომბრის არჩევნები პირველი თვითმმართველობის არჩევნები იყო ვარდების რევოლუციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმირების შემდეგ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ 26 საარჩევნო უბნებზე მიმაგრებული დამკვირვებლისა და 12 მობილური სადამკვირვებლო ჯგუფის მეშვეობით მცირე მასშტაბის მონიტორინგი ჩაატარა თბილისსა და რეგიონულ ცენტრებში. დამკვირვებლებმა მთელი საარჩევნო დღის მონიტორინგი მოახდინეს: დაესწრნენ საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემის პროცესს, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და საბოლოო ოქმების გაფორმებას.

დაკვირვებამ ცხადყო, რომ 5 ოქტომბრის არჩევნები ზოგადად კარგად ორგანიზებული იყო. თუმცა, დაფიქსირდა პრობლემები ამომრჩეველთა სიებთან და საარჩევნო კომისის წევრების არაკვალიფიციურობასთან დაკავშირებით. არჩევნების მომდევნო დღეს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მონიტორინგის შედეგები საარჩევნო თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფს და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინა გამოაშკარავებული პრობლემების მომავალში გადასაწყვეტად.

## საერთაშორისო ანტიკორუფციული კონფერენცია

2006 წლის 15-18 ნოემბერს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მონაწილეობა მიიღო გვატემალაში გამართულ მეთორმეტე საერთაშორისო ანტიკორუფციულ კონფერენციაში, რომელიც კორუფციის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის წარმატებებისა და გამოწვევების განხილვას და ამ მიმართულებით სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვას მიეძღვნა. მასში 120 ქვეყნის 1400-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა. მონაწილეთა შორის იყვნენ მთავრობის, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები, ჟურნალისტები და სხვა დაინტერესებული პირები. ოთხდღიანი კონფერენცია 51 პლენარული და სამუშაო ჯგუფის შეხვედრისაგან შედგებოდა. დისკუსიები გაიმართა სხვადასხვა ქვეყნებში და სფეროებში კორუფციის გავრცელების დონეების და მათი შემცირების გზების შესახებ.

კონფერენციაზე მიიღეს რიგი დოკუმენტებისა, მათ შორის: ა) შემაჯამებელი დეკლარაცია ანტიკორუფციულ ბრძოლაში კრიტიკული გამოწვევებისა და სამომავლო გეგმის შესახებ; ბ) რეზოლუცია, რომელიც გაერთიანებული ერების ანტიკორუფციულ კონვენციის იმპლემენტაციის მხარდასაჭერად ეფექტური მონიტორინგის პროგრამის შემუშავებას ეხება და გ) პლენარული სხდომის ანგარიში ალბერტო ფუჯიმორის ექსტრადიციის თაობაზე, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს და ჩილეს მთავრობას მოუწოდებს, მიიღონ პერუს თხოვნა მისი ექსტრადიციის შესახებ.

კონფერენციისა და მიღებული დოკუმენტების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას შეძლებთ შემდეგ მისამართზე: www.12iacc.org.

## ELECTION MONITORING

On 5 October 2006 the Government of Georgia conducted the first local elections in Georgia since the Rose Revolution and the adoption of a new local government law that was designed to reform the system of local government in the country. TI Georgia conducted a small-scale monitoring of these elections in Tbilisi and in the regional centers, deploying a total of 26 stationary observers and 12 mobile groups to different polling stations in and outside Tbilisi. These observers monitored the entire process on Election Day, starting from the opening of polling stations, through the voting process, to the counting of the ballot papers.

The observation revealed that the 5 October elections were generally well-organized and free. Nonetheless, several significant concerns still remain, in particular, with regards to the inaccuracy of voter lists and low qualification of election commission members. The day after the elections TI Georgia presented its monitoring findings to a group of non-governmental organizations working in the field of elections and to the Chairwoman of the Parliament of Georgia in order to contribute to the future resolution of the identified problems.

## INTERNATIONAL ANTI-CORRUPTION CONFERENCE

During 15-18 November 2006, TI Georgia participated in the 12th International Anti-Corruption Conference held in Guatemala to discuss the successes and challenges of the global fight against corruption and develop recommendations for future action. The conference gathered over 1,400 participants from more than 120 countries. Among them were representatives of national governments, local and international non-governmental organizations, and international financial institutions; journalists; and other stakeholders. During the four-day conference, 51 plenary and workshop sessions took place with discussions, including corruption in politics, the environment, and human rights.

The conference adopted numerous documents, among them (a) a declaration summarizing the critical challenges in the anti-corruption battle and the future agenda, (b) a resolution calling for the adoption of an effective follow-up monitoring program to support the successful implementation of the United Nations Convention against Corruption, and (c) the report from the plenary assembly on the extradition of Alberto Fujimori urging the judicial authorities and the Government of Chile to accept Peru's request for his extradition.

Additional information about the conference, as well as the copies of the adopted documents can be accessed at: www.12iacc.org.



### Tblpod.com

2006 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ დაიწყო ყოველკვირეული ახალი ამბების დაიჯესტის მომზადება ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ახალი ამბების დაიჯესტი არის ციფრული აუდიო ფაილი, რომელიც მსმენელს შეუძლია გამოიწეროს ან ჩატვირთოს კომპიუტერში ან აიპოდში. ახალი ამბების დაიჯესტი ყოველ შაბათს განთავსდება შემდეგ ვებ-გვერდზე: www.Tblpod.com. ამ ინიციატივის მთავარი მიზანია, დაინტერესებულ პირებს, განსაკუთრებით უცხოელებს და საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, მიაწოდოს მოკლე ინფორმაცია საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ არის პირველი და ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს ასეთი ტიპის ახალი ამბების დაიჯესტს საქართველოს შესახებ.

### გაერთიანებული ერების ანტიკორუფციული კონვენცია მონაწილე სახელმწიფოთა პირველი კონფერენცია

მონაწილე სახელმწიფოთა პირველი კონფერენცია, რომელიც გაერთიანებული ერების ანტიკორუფციული კონვენციის (UNCAC) იმპლემენტაციის შეფასებას მიეძღვნა 2006 წლის 10-14 დეკემბერს გაიმართა მკვდარ ზღვაზე, იორდანიაში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ 90 ქვეყნის სამთავრობო მინისტრები და თანამდებობის პირები. ოფიციალური დელეგაციების გარდა, შეხვედრას 30 ქვეყნის 40-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ესწრებოდა. ეს ორგანიზაციები ქმნიან UNCAC-ის სამოქალაქო საზოგადოების მეგობართა კოალიციას, რომელიც აქტიურად არის ჩაბმული UNCAC-ის განხორციელებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ არის გაერთიანებული ერების ანტიკორუფციულ კონვენციას მიერთებული, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრია, რომელიც პირველ შეხვედრას დაესწრო.

მომავალში, როდესაც საქართველო მოახდენს UNCAC-ის რატიფიცირებას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ გეგმავს საქართველოს მთავრობის მიერ კონვენციის იმპლიმენტაციის მონიტორინგს.



## Tblpod.com

This year TI Georgia started to produce a weekly podcast of significant news stories from Georgia. The podcast is a digital audio file that listeners can subscribe to or download onto their IPods or computers. The podcasts are uploaded every Saturday to www.tblpod.com. The main goal of Tblpod is to provide brief information about developments in Georgia for those who are interested in the country, especially foreigners and Georgians living abroad. TI Georgia is the first and the only organization to produce podcasts about Georgia.

## UNITED NATIONS CONVENTION AGAINST CORRUPTION FIRST CONFERENCE OF STATES PARTIES

Government ministers and senior officials from 90 countries gathered to discuss the implementation of the United Nations Convention against Corruption (UNCAC) at the first Conference of States Parties (CoSP) at the Dead Sea, Jordan from 10-14 December 2006. In addition to official delegations, the Coalition of Civil Society Friends of the UNCAC, a coalition of over 40 non-governmental organizations from 30 countries who are committed to the full implementation of the United Nations Convention against Corruption, actively engaged with states parties during the CoSP. Though Georgia is not a state party to the convention, TI Georgia is a member of the Coalition and participated as a representative of Georgian civil society during the first CoSP. Once Georgia becomes a signatory and ratifies the UNCAC, TI Georgia intends to monitor the Georgian government's implementation of the convention.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პრიზი საუკეთესო სტატიისათვის საგამომძიებლო ჟურნალისტიკაში

2006 წელს „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ განაგრძო საგამომძიებლო ჟურნალისტების მხარდასაჭერად საუკეთესო სტატიების დაჯილდოება. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ ჟურნალისტებს, რომელთაც ქართულენოვან გაზეთში ან ჟურნალში გამოქვეყნებული ჰქონდათ სტატია კორუფციის თემაზე. ჯილდო გაიცემოდა ხუთი ძირითადი კრიტერიუმის გათვალისწინებით: სტატიის სტრუქტურული გამართულობა, რამდენად დაბალანსებული იყო სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაცია, წერის სტილი, სტატიაში მოცემული ინფორმაციის წყაროს მითითება და განხილული საკითხის აქტუალურობა. სტატიების შეფასება მოხდა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

1) მოიცავდა თუ არა სტატია საკითხის ყველა მხარეს და იყო თუ არა ინფორმაცია მიუკერძოებლად გადმოცემული;
2) გამართული იყო თუ არა სტატიის სტრუქტურა, იყო თუ არა მასში მთავარი თემა დასაწყისშივე გამოკვეთილი და ხდებოდა თუ არა შემდეგ ამ თემის დეტალური გაშლა;
3) იყო თუ არა სტატიაში მითითებული ინფორმაციის წყარო. წყაროს არმითითების შემთხვევაში, შეიცავდა თუ არა ის შესაბამის დასაბუთებას;
4) იყო თუ არა სტატია სტილისტურად გამართული და მკითხველისთვის იოლად აღსაქმელი;
5) იყო თუ არა სტატიის თემა აქტუალური.

ზამთრის კვარტალში გაიმარჯვა გაზეთ „მთელ კვირაში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ „ყოფილი გამგებელი გუბერნატორსა და დეპუტატს დევნაში ადანაშაულებს“. გაზაფხულის კვარტალში კი, გაზეთ „იმედში“ გამოქვეყნებულმა სტატიამ – „ადგილობრივი ხელისუფლება მეწარმეებს ჭიაურის ტყის სარეაბილიტაციოდ ბიუჯეტში თანხების შეწირვას აიძულებს“. კონკურსის გამარჯვებულებს, ეკა გულუას და მარინა გოგოლაძეს, გადაეცათ ფულადი ჯილდოები 500 ლარის ოდენობით. დამატებით, სტატიების ავტორებსა და გაზეთებს, რომელშიც სტატიები გამოქვეყნდა, გადაეცათ სპეციალური სერტიფიკატები.

## TI GEORGIA'S AWARD FOR EXCELLENCE IN INVESTIGATIVE JOURNALISM

In 2006 TI Georgia continued giving out awards for excellence in investigative journalism designed to provide support for journalists to pursue investigative reporting. Any journalist who had published an article on corruption-related issues in a Georgian language newspaper or magazine could participate in the competition.

The award is based upon the five core elements of good articles: structure, balance, attribution, importance, and concision. Submissions were judged according to the following criteria:

(1) Were all sides of the issue presented impartially and without judgment?
(2) Was the important information presented at the beginning with detail gradually revealed?
(3) Were precise sources of information identified and quotes attributed? If not, were reasons given?
(4) Was the language used easy to understand, precise, rich, and correct?
(5) Was the topic important?

In the winter quarter the article "Former Gamgebeli Accuses Governor and Parliamentarian of Persecution" published in the newspaper Mteli Kvira took first place. In the spring quarter the article "Local Government Makes Entrepreneurs Donate Money for Chiauri Forest Rehabilitation," published in the newspaper Imedi, took first place. Both winners of the competition, Eka Gulua and Marina Gogoladze, received cash prizes of 500 GEL. In addition, both the authors and newspapers were awarded special certificates.



# პუბლიკაციები
# Publications







## საქართველოს პარლამენტის კომიტეტების ანგარიშები
(ქართულად და ინგლისურად)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ანგარიში
საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ანგარიში

ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას კომიტეტების წევრების (მათ პარტიულ კუთვნილებას, დასწრების მონაცემებს, საქმიანობას სხვადასხვა სტრუქტურებში), კომიტეტისა (ფუნქციები, მიზნები და ა.შ.) და მისი საქმიანობისა და მიღწევების შესახებ (საკანონმდებლო საქმიანობა, რეფორმები შესაბამის სფეროებში, საზედამხედველო საქმიანობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა და სხვა).

## COMMITTEE BI-ANNUAL REPORTS
(in Georgian and English)

Legal Issues Committee Bi-annual Report
Foreign Affairs Committee Bi-annual Report

The reports include information about committee members (their party affiliation, attendance records, membership in different structures, etc.), the committee itself (functions, goals, etc.), and its activities and accomplishments (legal drafting, reforms in respective spheres, scientific work, oversight activities, public relations, etc.).




## მოქალაქეთა გზამკვლევი
(ქართულად)




მოქალაქეთა გზამკვლევი აღწერს მაჟორიტარი დეპუტატების მოვალეობებს, მათ ურთიერთობას ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან, მათ სამუშაო საათებს, საკონტაქტო ინფორმაციას და ა.შ. გზამკვლევი მომზადდა იმ მიზნით, რომ გაიზარდოს მაჟორიტარი დეპუტატის ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის მიმართ და მოქალაქეებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ განახორციელონ ზედამხედველობა პარლამენტის საქმიანობაზე.

## CITIZEN'S GUIDEBOOK
(in Georgian)

The Citizen's Guidebook outlines the general and specific duties of majoritarian MPs, focusing on their relations with local governmental officials, their working hours, and contact information, among other things. These guidebooks were prepared in order to enhance majoritarian MPs' responsiveness to their constituencies and to promote public oversight of Parliament's work.

## ამომრჩეველთა გზამკვლევი
(ქართულად და რუსულად)

ამომრჩეველთა გზამკვლევში მოცემული იყო მნიშვნელოვანი ინფორმაცია 2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესახებ, კერძოდ - საარჩევნო პროცედურები და ამომრჩეველთა უფლებები. გზამკვლევები ამომრჩევლებს დაურიგდათ მთელს საქართველოში არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე.






## VOTER'S GUIDE
(in Georgian and Russian)

The Voter's Guide provided basic information about the 5 October local self-governance elections in Georgia, including important election procedures and voters' rights. The guides were distributed prior to the elections throughout Georgia in order to educate voters and promote free and fair conduct of elections.









## ბროშურები და ლიფლეტები ახალ კანონებზე

ბროშურა ადგილობრივ თვითმმართველობაზე (ქართულად და რუსულად)
ბროშურა სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიების შესახებ (ქართულად და რუსულად)
ბროშურა შრომის კოდექსზე (ქართულად)
ლიფლეტი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ (ქართულად)

ბროშურები და ლიფლეტები შესაბამის სფეროში ახალ რეგულაციებს გამარტივებულ ენაზე აღწერდა. ამ მასალის გავრცელებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ" სცადა, მოსახლეობის ინფორმირება მოეხდინა ახალი საკანონმდებლო მოთხოვნების შესახებ და ამით ხელი შეეწყო მათი დანერგვისა და აღსრულებისათვის, აგრეთვე, მიეცა საშუალება მოსახლეობისათვის, უკეთ დაეცვა საკუთარი უფლებები.

## BROCHURES AND LEAFLETS ON NEW LAWS

Brochure on Self-Governance (in Georgian and Russian)
Brochure on Pensions and Compensations (in Georgian and Russian)
Brochure on the Labor Code (in Georgian)
Leaflet on New Traffic Rules (in Georgian)

The brochures and leaflets described new regulations in respective fields in easy-to-understand language. Through distributing these materials, TI Georgia sought to inform citizens about new legal requirements and hence to promote their implementation and enforcement, as well as to empower citizens to protect their rights.

## კენჭისყრების პოსტერი
(ქართულად და ინგლისურად)

პოსტერში მოცემულია 2004 წლის თებერვლიდან 2006 წლის ჩათვლით მიღებული ცხრა მნიშვნელოვანი კანონის მოკლე მიმოხილვა და დეპუტატების კენჭისყრის მონაცემები აღნიშნულ კანონებზე.

## POSTER
(in Georgian and English)

The poster presented a brief description of nine important laws adopted since February 2004 and voting records of MPs on those laws. The purpose of the poster was to allow voters to track individual MP's votes and their consistency with the MP's pre-election promises and public statements.





## ადგილობრივი თვითმმართველობა – ხშირად დასმული შეკითხვები
(ქართულად და რუსულად)

ბროშურა პასუხებს სცემს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის შესახებ ყველაზე ხშირად დასმულ შეკითხვებს. უფრო ზუსტად, მასში განმარტებულია საარჩევნო პროცედურა, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი და ქონება – და უფლებამოსილების გადანაწილება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებებს შორის. ბროშურაში თავმოყრილი კითხვები დაისვა იმ შეხვედრებზე, რომლებსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ საქართველოს პარლამენტის „რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტთან“ ერთად ატარებდა მთელს საქართველოში. შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედიის წარმომადგენლები და საზოგადოების დაინტერესებული პირები.




## LOCAL GOVERNMENT – FREQUENTLY ASKED QUESTIONS
(in Georgian and Russian)

The publication provided responses to the most frequently asked questions about the new local government system, specifically on local election procedures, local budgets, local property, and distribution of authority between local and central governments, among other things. TI Georgia gathered these questions during the meetings conducted throughout Georgia together with the Regional Policy, Self-Governance, and Mountainous Regions Committee with the participation of local government officials, regional NGOs, mass media representatives, and the general public.

## კვლევა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის შესახებ (ქართულად და ინგლისურად)

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა საკანონმდებლო მიმოხილვა და საზოგადოებრივი აზრის კვლევა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის შესახებ. ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა ყველაზე მნიშვნელოვან ხარვეზებს შესაბამის კანონმდებლობაში და ასევე წარმოადგინა მოქალაქეთა გამოცდილება ამ უწყებებთან ურთიერთობისას. პრობლემების შესწავლის საფუძველზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ მოამზადა კონკრეტული რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავდა საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზების აღმოფხვრას.

## STUDIES ON THE NATIONAL AGENCY FOR CIVIL REGISTRY AND THE VETERANS' DEPARTMENT OF GEORGIA (in Georgian and English)

TI Georgia published legislative reviews and public opinion studies documenting (a) the main pitfalls in legislative frameworks regulating the work of the National Agency for Civil Registry and the Veterans' Department of Georgia and (b) citizens' experiences and satisfaction with these entities. The studies also provided recommendations for addressing the identified pitfalls and for enhancing end-users' satisfaction with the services provided by the Civil Registry and the Veterans' Department.

## 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების მონიტორინგი (ქართულად და ინგლისურად)




ანგარიში აფასებს 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების ხარისხს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოცდების შეფასების პროგრამა განახორციელა „ამერიკულ საბჭოებთან“ ერთად ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. საბოლოო ანგარიში და რეკომენდაციები დაეყრდნო როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამკვირვებლების გამოცდილებას, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ ჩატარებულ გამოკითხვას და ინფორმაციას, რომელიც სხვადასხვა ინტერვიუებითა და გამოცდების უშუალო მონიტორინგის შედეგად შეგროვდა.

## MONITORING REPORT ON THE UNIFIED NATIONAL EXAMS (in Georgian and English)

The report provides an assessment of the second implementation of the Unified National Exams for university admission, which TI Georgia monitored in cooperation with American Councils in Georgia with funding from the United States Agency for International Development. The assessment and corresponding recommendations are based upon the experience of the local and international monitors, the results of the TI Georgia-administered survey, and information gathered through various interviews and site visits.

## საგაზეთო ჩანართები
(ქართულად)

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ „ეკონომიკური მმართველობისა და საჯარო ფინანსების“ პროექტის ფარგლებში გამოსცა კვარტალური საგაზეთო ჩანართები, რომლებიც მოიცავდა ინფორმაციას საჯარო ფინანსების სფეროში მიმდინარე რეფორმების და რეგიონული ბიუჯეტების შესახებ. საგაზეთო ჩანართები გავრცელდა მთელს საქართველოში თოთხმეტი ნაციონალური და რეგიონული გაზეთის მეშვეობით. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საგაზეთო ჩანართები მოამზადა იმ ჟურნალისტებთან ერთად, რომლებიც ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ყოველთვიურ შეხვედრა-სემინარებში მონაწილეობდნენ.







## INSERTS
(in Georgian)

TI Georgia, through the *Economic Governance and Public Finance* project funded by the Royal Netherlands Embassy, produced tri-annual newspaper inserts that covered public finance reform initiatives and problems related to regional budgets. The inserts were distributed throughout Georgia through fourteen national and regional newspapers. TI Georgia prepared these inserts together with regional journalists participating in its monthly training sessions.



# სამომავლო
## საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ სამომავლო საქმიანობა კვლავ სამი უმთავრესი მიზნის მიღწევის ხელშეწყობის – გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების და საზოგადოებრივი გაზრდისკენ იქნება მიმართული. შესაბამისად, ორგანიზაცია გააგრძელებს კორუფციის გამომწვევი საკანონმდებლო, ინსტიტუციონალური და პრაქტიკული ხარვეზების გამოვლენას, რეფორმების პროცესის შეფასებას და ამ შეფასებების საზოგადოებისთვის, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის გაცნობას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მომავალი პროგრამები მოიცავენ შემდეგ საქმიანობას:

- მაჟორიტარ დეპუტატებთან მუშაობა ამომრჩევლებთან მათი ურთიერთობის გააქტიურების მიზნით; რეგიონული მოსახლეობის ინფორმირება პარლამენტის მუშაობისა და მნიშვნელოვანი კანონების შესახებ.
- საპარლამენტო კომიტეტებთან და ფრაქციებთან მუშაობა, რათა გაიზარდოს საზოგადოების როლი საკანონმდებლო პროცესში; ასევე, ინფორმაციის გავრცელება კომიტეტებისა და ფრაქციების მიზნების, საქმიანობისა და მიღწევების შესახებ.
- საზოგადოებისათვის ახალი სამართლებრივი აქტების გაცნობა და განმარტება, რათა გაიზარდოს კანონის დაცვა და მაქსიმალურად შეიზღუდოს სხვადასხვა საკანონმდებლო დებულებების არასწორი ინტერპრეტირება.
- პრიორიტეტული სფეროების მონიტორინგი, რის შედეგადაც რეგულარულად გამოქვეყნდება შეფასებები ამ სფეროში განხორციელებული ცვლილებებისა და არსებული პრობლემების შესახებ. ძირითადად, ყურადღება დაეთმობა საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესრულებას.

# Future
## Activities

TI Georgia's future activities will continue to promote the values of transparency, accountability, and public engagement. They will be centered around responding to findings on corruption and giving feedback on the reform process, sharing information among the public, the Government of Georgia, and international organizations. By supporting the active involvement of these three key groups in information-gathering and decision-making, TI Georgia will help to make these processes more efficient and effective.

More specifically, TI Georgia's future programs will include, but will not be limited to:

- Working with parliamentarians in the regions in order to foster two-way communication with constituents and promote understanding of the technical workings of Parliament and specific legislation;
- Working with parliamentary committees, factions, and departments to assist them in soliciting public input into the legislative process and in disseminating information about their goals, activities, and accomplishments;
- Informing the general public about new legal acts and explaining these innovations in simple and practical language in order to promote citizens' and public officials' adherence to them and reduce opportunities for misinterpretations;
- Monitoring the reform of different sectors and publicizing regular, independent assessments of implemented changes and remaining concerns, specifically focusing on the Government's activities and their correspondence with Georgia's international commitments and the implementation of the National Anti-Corruption Strategy and Implementation Action Plan;



- სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობის და მათ მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული მომსახურების ეფექტურობის შეფასება იმ მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც 2006 წელს იყო აპრობირებული და რაც გულისხმობს საკანონმდებლო ანალიზს, საზოგადოებრივი აზრის კვლევას და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას.
- ჟურნალისტებთან მუშაობა, რათა გაიზარდოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ასევე, ჟურნალისტებისთვის სემინარების გამართვა და 2006 წელს ჩატარებული კვლევის – „მასმედიის მიმართ სახელისუფლებო სტრუქტურების გახსნილობის“ – განმეორება.
- პროგრამული ღონისძიებების გატარება კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის საქართველოში დანერგვის სტიმულირების მიზნით.
- ფოკუს-ჯგუფების ორგანიზება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სახელმწიფო პოლიტიკის, დემოკრატიზაციის პროცესისა და კორუფციის შესახებ.

განხორციელებული საქმიანობების შედეგები საჯარო გახდება მედიის, საგაზეთო ჩანართების, დაბეჭდილი მასალების, ელექტრონული გზავნილების, საჯარო დისკუსიების, ინდივიდუალური შეხვედრებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, იმისდა მიხედვით, თუ რა თემატიკა და მიზნობრივი ჯგუფები იქნება წარმოდგენილი.

- Focusing upon evaluating the effectiveness of state programs using the methodology tested in 2006, in particular, through conducting legislative reviews, public opinion studies, and international comparisons;
- Working with journalists in order to promote access to information and quality reporting on important developments. Among other activities, this will include organizing periodic seminars for journalists and re-administering the survey on access to information from official sources that was conducted in 2006;
- Carrying out programmatic activities in order to promote implementation of the United Nations Convention against Corruption (UNCAC) in Georgia;
- Conducting focus group discussions and public opinion studies to learn citizens' views about the Government's policies, the democratization process, the prevalence of corruption in different sectors, and overall.

The outcomes and findings of these activities will be publicized on an ongoing basis through public discussions, media events, newspaper inserts, printed materials, electronic mailings, individual meetings, and other means, depending on the type of information and its target audience.

# გამგეობის წევრები და თანამშრომლები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ გამგეობა
TI GEORGIA BOARD OF DIRECTORS

(2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
(as of 1 January 2007)

მარკ მალენი, გამგეობის თავმჯდომარე
MARK MULLEN, Chair

ჯაბა ებანოიძე, მდივანი
JABA EBANOIDZE, Secretary

ნიკა ღვინაძე, წევრი
NICK GHVINADZE, Member

ლევან რამიშვილი, წევრი
LEVAN RAMISHVILI, Member

თამუნა ქაროსანიძე, წევრი
TAMUNA KAROSANIDZE, Member

## აღმასრულებელი STAFF

(2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
(as of 1 January 2007)

თამუნა ქაროსანიძე, აღმასრულებელი დირექტორი
TAMUNA KAROSANIDZE, Executive Director

ნინა ხატისკაცი, საპარლამენტო პროგრამის დირექტორი
NINA KHATISKATSI, Parliamentary Program Director

ქემრინ ქრისტენსენი, განვითარების მენეჯერი
CAMRIN CHRISTENSEN, Development Manager

კობა თურმანიძე, უფროსი ანალიტიკოსი
KOBA TURMANIDZE, Senior Analyst

# Members of the Board and Executive

ეკა დურგლიშვილი, ფინანსური და ადმინისტრაციული მენეჯერი
EKA DURGLISHVILI, Financial and Administrative Manager

ანი ახალკაცი, საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი
ANI AKHALKATSI, Public Relations Coordinator

თამუნა მაჭარაშვილი, იურისტი
TAMUNA MACHARASHVILI, Lawyer

ზვიად სხვიტარიძე, იურისტი
ZVIAD SKHVITARIDZE, Lawyer

მარიამ გაბედავა, ანალიტიკოსი
MARIAM GABEDAVA, Analyst

გვანცა ბაქრაძე, საპარლამენტო პროგრამის ასისტენტი
GVANTSA BAKRADZE, Parliamentary Program Assistant

თინათინ ბრეგვაძე, პროგრამის ასისტენტი
TINATIN BREGVADZE, Program Assistant

ნანა ლობჟანიძე, კვლევის ასისტენტი
NANA LOBJANIDZE, Research Assistant

თემურ ოვჩიევი, ასისტენტი
TEMUR OVCHIEV, Assistant

აკაკი შენგელია, ლოჯისტიკის ასისტენტი
AKAKI SHENGELIA, Logistics Assistant

საშა ჩუპრინი, IT ადმინისტრატორი
SASHA CHUPRIN, IT Administrator



## რეგიონული კოორდინატორები
## REGIONAL COORDINATORS

(2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)
(as of 1 January 2007)

| | |
|---|---|
| ალექსი ცუკილაშვილი, კახეთი | ALEKSI TSUKILASHVILI, Kakheti |
| ოთარ ცინცაძე, ქვემო ქართლი | OTAR TSINTSADZE, Kvemo Kartli |
| ვერა ბიწაძე, შიდა ქართლი | VERA BITSADZE, Shida Kartli |
| თამარ მაისურაძე, მცხეთა-მთიანეთი | TAMAR MAISURADZE, Mtskheta-Mtianeti |
| ნანა სოხაძე, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | NANA SOKHADZE, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti |
| პაატა შარაშენიძე, იმერეთი | PAATA SHARASHENIDZE, Imereti |
| კახა ლომაძე, გურია | KAKHA LOMADZE, Guria |
| მარინა დავითაია, სამეგრელო და ზემო სვანეთი | MARINA DAVITAIA, Samegrelo and Zemo Svaneti |

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ასევე მადლობას უხდის იმ ცამეტ მოდერატორს, რომლებიც მონაწილეობენ ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ პროექტში: „სამოქალაქო ფორუმები ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი მოსახლეობისათვის“ და სტაჟიორებს: ქეთი კალანდარიშვილს, გიორგი ლობჟანიძეს, სოფო ტაბატაძეს, თამარ ფურცელაძეს, ნინო სამველიძეს, ნინო ჯანიაშვილს, ნათია მელაძეს და ნელი არდიას, რომლებმაც 2006 წლის განმავლობაში საკუთარი წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის პროგრამული ღონისძიებების შესრულებასა და ოფისის ფუნქციონირებაში.

TI Georgia would like to acknowledge the contribution of our 13 moderators, who are implementing the *Civic Forum for Ethnic Azeris* project funded by the European Commission.

TI Georgia would also like to thank the contribution of our interns — Kate Kalandarishvili, Giorgi Lobzhanidze, Sopo Tabatadze, Tamar Purtseladze, Nino Samvelidze, Nino Janiashvili, Natia Meladze, and Neli Ardia — who contributed to the implementation of our programmatic activities and the function of the office.

# დონორები
## დაარსების დღიდან

(ანბანური თანმიმდევრობით)

აირის საქართველო

ამერიკის იურისტთა ასოციაცია/ცენტრალური ევროპისა და ევრაზიის სამართლებრივი ინიციატივა

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

ბრიტანეთის საბჭო საქართველოში

გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი

დიდი ბრიტანეთის საელჩო თბილისში

ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში

ეროვნული შემოწირულობა დემოკრატიისათვის

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

კანადის საელჩო

კანადის ფონდი

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ნიდერლანდების სამეფოს საელჩო

საერთაშორისო გამჭვირვალობა – სამდივნო

ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო

ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“

ღია საზოგადოების ინსტიტუტი

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

# Donors
## since Registration

(in alphabetical order)

American Bar Association Central European and Eurasian Law Initiative (ABA/CEELI)

British Council Georgia

British Embassy Tbilisi

Canada Fund

The Canadian Embassy

European Commission Delegation to Georgia (EC)

IRIS Georgia

Ministry of Foreign Affairs of Finland

Ministry of Foreign Affairs of Latvia

National Endowment for Democracy (NED)

Open Society Georgia Foundation (OSGF)

Open Society Institute (OSI)

Organisation for Security and Co-operation in Europe (OSCE)

Royal Netherlands Embassy

Swiss Agency for Development and Cooperation (SDC)

Transparency International Secretariat (TI-S)

UK Department for International Development (DFID)

United States Agency for International Development (USAID)

# ფინანსური მონაცემები Financial Data

ფინანსური მხარდაჭერა (ლარებში) FINANCIAL SUPPORT (IN GEL)

| | |
|---|---|
| 2000 | 115 248 |
| 2001 | 268 912 |
| 2002 | 37 745 |
| 2003 | 94 754 |
| 2004 | 269 708 |
| 2005 | 496 986 |
| 2006 | 696 646 |

## დანახარჯები 2006 EXPENDITURES



## დონორები DONORS



Auditor Company

## Ka & Company LIMITED

11 TEMKA, SUITE 6, TBILISI, GEORGIA
TELEPHONE: (995 77) 417 366; FACSIMILE: (995 32) 934 906

ქ. თბილისი
№ 06/07

12.02.2007

### დასკვნა
### კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"

ჩემს მიერ ჩატარდა კავშირი „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს 2006 წლის 01 იანვრიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდისათვის მომზადებული საოპერაციო უწყისის აუდიტი. აუდიტი ეყრდნობა ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, წარმოდგენილს საგრანტო კონტრაქტების, საქონლის, მომსახურეობის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტების, ფულის გადახდის დოკუმენტების, საბანკო ამონაწერის, სხვადასხვა ხელშეკრულებების და სხვა პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტების სახით.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება არსებითი ხასიათის უზუსტობებს. აუდიტი გულისხმობს მტკიცებულებათა შემოწმებას ტესტირების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების თანხებისა და ახსნა-განმარტებების დადასტურების მიზნით. აუდიტი აგრეთვე ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ მიყენებული ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას. მჯერა რომ, ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს მაძლევს დასკვნის შესადგენად.

ჩემი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კავშირის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს 2006 წლის ფინანსურ მდგომარეობას.

შ.პ.ს. „კა და კომპანი"-ის
დირექტორი: [signature] მ. სიხარულიძე

Auditor Company

## Ka & Company LIMITED

11 TEMKA, SUITE 6, TBILISI, GEORGIA
TELEPHONE: (995 77) 417 366; FACSIMILE: (995 32) 934 906

Tbilisi, Georgia
# 06/07

12 February 2007

### Auditor's Report
### for Transparency International Georgia

I have audited the statement of operations of Transparency International Georgia for the period of 1 January 2006 to 31 December 2006. The audit is based upon information submitted by the organization's administration, including grant agreements, documents proving purchase of goods and services, cash disbursement, bank receipts, various related contracts, and other primary accounting documents.

The audit was conducted in accordance with the International Standards on Auditing. The Standards' requirements oblige me to plan and perform the audit assuring that financial statements are free of essential misstatement. An audit includes examining, on a test basis, evidence supporting the amounts and disclosures in the financial statements. An audit also includes assessing the accounting principles used and significant estimates made by the management, as well as evaluating the overall financial statement presentation. I believe that my audit provides a reasonable basis for a final opinion.

In my opinion, the audited financial statements fairly present the financial position of Transparency International Georgia for the year 2006.

Ka & Company Limited
Director: [signature] M. Sikharulidze

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

თბილისი 0108, რუსთაველის გამზ. 26, III სართ. • 26 Rustaveli Avenue, Third Floor, Tbilisi 0108, Georgia
ტელეფონი/Phone: + (995 32) 92 14 03; 99 93 35; 93 21 29 • ფაქსი/Fax: + (995 32) 92 02 51
ელ-ფოსტა/E-mail: info@transparency.ge • www.transparency.ge

© 2007. Designed by Besik Danelia